მარტი
1936 წ.
№ 123

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
MARS
1936—№ 123

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მეთაური—გაშიშვლდენ!
რ. ინგილო—შიშის დღენი.
X. X.—განახლებული ირანი.
ექ. თაყაიშვილი—აკადემ. ნიკო მარრი.
ინდოეთის გზები.
უცხოეთის მიმოხილვა.
ერთა ლიგის ირგვლივ.
საქართველოს საკითხი.
გერმანული პრესა საქართველოზე.
მოხსენება შოთა რუსთაველზე.
სამაგალითო ადამიანი.
საქართველოს ამბები.

გ ა შ ი შ ვ ლ დ ე ნ!

სწორეთ რომ გაშიშვლდენ, და ამ მხრივ 1936 წ. პირელი თებერვალი ერთგვარი ისტორიული თარიღია საბჭოთა კავშირის ეგრედ წოდებულ ევოლუციისათვის. ვინც დაესწრო საფრანგეთის პალატის გრძელ დებატებს რუს-ფრანგთა პაქტის გამო, მისთვის შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა სიტყვა «ევოლუცია», რომელსაც იმარჯვებდენ ერიო და კომპ. 170 მილიონიან «ნაციასთან» კავშირის დასამყარებლათ. საბჭოები იგი არ არის—ამბობდენ ისინი—რაც იყო, მან განიცადა დიდი ევოლუცია, შექმნა უძლიერესი სახელმწიფო, გარდიქმნა ერთ ერად, ერთ სამშობლოდ, რომელსაც მზათ არიან თავი შესწირონ მისმა შვილებმაო.

რუსების ემიგრანტული პრესაც, თავის მხრით, დიდ მუყაითობას იჩენდა დაესაბუთებია უვიც, ან უკეთ—თავის ნებით დაბრმავებულ ფრანგთა დებულება: დიახ, რასაკვირველია, საბჭოთა კავშირი იგივე რუსეთია, რომელიც გამოსჭედა საუკუნეთა გასწვრივ რუსის ხალხმა, რომელმაც შექმნა რუსული კულტურა, შეადუღა ყველა ერები, ასწია მაღლა არა-რუსები, აზიარა თავის ხელუქმნელ ცივილიზაციას... მილიუკოვმა ლექციაც კი წაიკითხა სორბონაში საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეურ ნათესაობაზე ყოფილ და უკვე აღმდგარ რუსეთთან, რისთვისაც ქება შეასხეს მას ფრანგ პროფესორებმა, როგორც მთელი რუსეთის, ე. ი. რუს და არარუს ერთა კეთილშობილ მისწრაფებათა და ზრახვათა «საუკეთესო გამომხატველს».

სტალინმა, სიმართლე უნდა ითქვას, თავის დროზე აუღო ალღო ამ ახალ მოთხოვნილებას, გადაისროლა ლოზუნგი: სამშობლო tout court, უზედსართავოთ, არ უძღვის მას წინ «სოციალისტური». ჩვენ გვაქვს სამშობლო, მისთვის სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი—აი, სადღეისო ამოცანაო, უბრძანა მან თავის ქვეშევრდომთ.

და ესენიც შეუდგენ «დიდი ბელადის იდეის» ცოხნას. მაგრამ ჩქარა აღმოჩნდა ერთი ძალიან «ვიწრო ადგილი». სამშობლო, მისთვის სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი!—ხელი ჩასჭიდეს არარუსებმა, სამშობლო დაკარგულებმა, მაშ ვადიდოთ, აღვადგინოთ ჩვენი სამშობლო—დასჭყივლეს მათ და... გამოვიდა სულ სხვა, ვინემ «სათაყვანებელ ბელადს» ეგონა! სამშობლო გამოდგა არა საბჭოთა კავშირი, არამედ საქართველო, უკრაინა და ბევრი სხვა, აი ვისი დიდება, ვისთვის თავდადება და აღდგენა გაიხადეს სადღეისო ამოცანად ნამდვილმა პატრიოტებმა.

მიხვდა სტალინი, «მეფე ღვთისაგან სვიანი», და უმალ შეაბრუნა კეხი, რა შუაშია საბჭოები, რა შუაშია კავშირი, ნამდვილათ რუსეთია ჩვენი სამშობლო, აი ვინ უნდა გავაღმერთოთ, ვის უნდა შეევწიროთ სულით და ხორცით—ბრძანა მან. და 1-ლ თებერვალს საკავშირო აღმასრულებელმა კომიტეტმა უქვემშემრომლესად დაადასტურა ეს ახალი საცოხნელი. ჩვენი სამშობლო რუსეთია და მისი შემქნელი, შემგროვებელი (სობირატელ) გახლავთ რუსის

ერი, «პირველი თანასწორთა შორისო»—აღიარებს რუსების პარლამენტი».

რაც მართალია, მართალია! საბჭოები, ბოლშევიზმი, კომუნიზმი, კოლექტივიზაცია, ჩეკა, გეპეუ და კიდევ სხვა ბევრი მარგალიტები ხომ რუსეთის, რუსის ხალხის მონაპოვარი განძეულობაა, აბა ვის შეუძლია შეედავოს «სვიან მეფეს»! ამას ვამბობდით დღიდან მის გამეფებისა, უფრო ადრეც, «სულმნათი» ლენინის დროსაც, რომლის სახელით აბატონებდენ რუსულ ენას ყველა «დამოუკიდებელ რესპუბლიკებში».

დღეს ამას თვითონაც ამბობენ, დოგმად აღიარებენ—აი რაა საყურადღებო ისტორიული ფაქტი. რუსეთის თვითმპყრობელობა, რუსული იმპერიალიზმი—აი რას ამყლავნებენ ისინი თავისივე ბაგით, იფხრეწენ პირსაფარს, აჩენენ თავის მახინჯ სახეს, შიშვლდებიან.

«ბელადი» გამოდის პედაგოგის როლშიც. მან გადასინჯა კომუნისტ-ისტორიკოსების ნაჯღაბნი, სკოლებში რომ აზეპირებდენ, და საშინლათ გაჯავრდა: როგორ, ვინ გაბედა ასე შეურაცხება რუსის ხალხისა, მისი წარსულის, აწმყოსი, მომავლის! და პირველათ, რა თქმა უნდა, ბუხარინმა მოინანია რუსების ობლობოვებად გამოყვანისთვის. მოხდა, ხდება რუსის ხალხის გენერალური რეაბილიტაცია, უმოწყალოთ შლიან ისტორიულ სახელმძღვანელოებში რუსებისთვის შეურაცხმყოფელ ადგილებს, ზოგს მთლათ ხევენ და ახალ სახელმძღვანელოებს ადგენენ, მინინ-პაჟარსკის გმირობას არ ივიწყებენ, არც პეტრე დიდის რეფორმებს, გლეხთა განთავისუფლებას და სხვა ისტორიულ თარიღებს.

ეს «ახალი ხაზი» უკვე გალექსეს ქართველმა პოეტებმა სამშობლოს 15 წლის ტყვეობის აღსანიშნავათ, «ხელი მოაწერიეს» 1.580.000 ქართველს და მიართვეს რენეგატ ჯუღაშვილს. დაიჯერეთ, შეუძლებელი იყო რუსულ იმპერიალიზმის აპოთეოზის უკეთ გადმოცემა. ბევრი ჯავრდება ასეთი ჯამბაზობისთვის, თუმცა მზგავსი ყალბი «პეტიცია» მხოლოდ იმას მოწმობს, რამდენათ სახიფათოა ჯალათებისთვის თავისუფალი პლებისციტი ქართველ ერისა. ქართულ მუზის მსახურნი, მიუხეოავათ ლექსთაწყობის უვარგისობისა, თითქო არ არიან იუმორს მოკლებულნი, თხზავენ აშკარა სიცრუეს, რათა მით უფრო ნათლათ დაგვიხატონ დამკვეთთა ტაკი მასხარობა. სტალინი ღირსია უარესის და მისი «ნაცვალი», ტფილისის ჩეკიდან, უფრო შნოიანათ აბა როგორ იდღესასწაულებდა სამშობლოს დამხობის წლისთავს.

მოლოტოვი და სტალინი, სოვნარკომის და კომპარტიის სახელით, მიულოცავენ ბერიას და მის მონანებულ ღვთის გლახას მახარაძეს: «საქართველოს მშრომელთა და წითელი ლაშქრის გაერთიანებულმა ცდამ მიაღწია მენშევიკების განდევნას და პროლეტარულ რევოლუციის გამარჯვებას საქართველოში». ვის შეეძლო ასე აშკარათ, ასე გარკვევით დაენახვებია ქვეყნიერებისთვის, რა მოხდა 15 წლის წინ საქართველოში? არავის, უეჭველათ, და ამ «უზენაეს გუჯარს» ჩვენ გამოვიყენებთ თავის დროზე.

ან რად უნდა მოერიდონ მოსკოვიტები თავის შავ საქმეთა საქვეყნოთ გამოფენას, ისინი რამდენათმე უკვე აღწევენ მიზანს. ერიომ და სხვებმა ჩინებულათ იციან, რომ რუსეთში ბევრია სხვა ერებიც მდიდარი წარსულით და უტყუარი მომავლით, მაგრამ ამ დროებით მათ ეჭვერებათ ძლიერი მოკავშირე, «ერთი და განუყოფელი რუსეთი», და სტალინიც, რეტდასხმული გერმანია-იაპონიის შიშით, თვალის დახამხამებაზე შესთავაზებს მათ «განუყოფელ რუსეთს», ზარბაზან-ტანკა-ავიონებით, მარშლებით, კაზაკებით... ვის არ ახსოვს, რა აღტაცებას იწვევდა ძველათ კაზაკების გამოჩენა პარიზის ქუჩებზე. ეს იცის სტალინმა და მისთვის ხომ უადვილესი საქმეა ერთი ყეენობა აქაც გამართოს, მზზავსათ მი-კარენის კარნავალისა, საბჭოთა კავშირის ყველა ერთა მონაწილეობით და მობერებულ «ხარის», კაშენის წინამძღოლობით, როგორც მისი «ნაცვალის».

მხოლოდ ვინც ზომაზე მეტ ერთგულობას იჩენს, თავის სისუსტეს ამყლავნებს. მართლა, სხვას აბა რას მოასწავებს ამდენი ჭაპანწყვეტა? რუსეთი, ძველი რუსეთი მკვდრეთით აღსდგაო, ძლიერი, უძლევი—ბუკს აყვირებენ კრემლის კოშკიდან. ვისი ძლიერი, უძლევი, განა გუშინ გერმანიის ფეხ ქვეშ არ იყო გაშხლართული!—შესძახებს ჰიტლერი—განა ეს ახმახი სახელმწიფო ჩვენ არ შევქმენით, ვინ უნდა დაანგრიოს იგი, თუ არა ისევ ჩვენ!

თითქო ამის საპასუხოთ «მარშალი» ვოროშილოვი მიმართავს ტფილისის სახელმწიფო თეატრიდან ქართველ ერს: გმადლობთ შენ, დაბლა თავს გიკრავთ, რომ გვაჩუქე რუსეთის პროლეტარიატს, ასეთი სწორუპოვარი დიდი ბელადო! და «როსტაც» გვაუწყებს, რომ «საქართველოს დელეგაცია» წარუდგა სტალინს, ორჯონიკიძეს, მიკოიანსო. ჭეშმარიტი რუსები!—აი ვინ გვიშენებს უძლევ რუსეთსო—მიესალმა «დელეგაციას» მოლოტოვი.

ჩვენ ვიცით, რაა მათი ნაშენი, როგორია მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამძლეობა ამოვარდნილ ქარიშხალის წინ. მართალია ჟურნალისტ როი ჰოუორდს განუცხადა სტალინმა თავის ინტერვიუში: «ჩვენ ვიბრძოლებთ მონგოლიისათვისო», მაგრამ განა აშკარა არაა, რომ ეს დაპირება იგივე გამოვა, რაც მანჯურიისათვის ბრძოლა? როგორი თავზარი დასცა მას და მის ყმებს ტოკიოს ამბებმა, როგორ ჩაუვარდათ მუცელში ენა და შეძვრენ სოროებში!

მაშასადამე, ამ სამგლოვიარო წლისთავზე ჩვენცა გვაქვს რით უნდა ვინუგეშოთ. წუმპედან ამოტივტივებული ძველი რუსეთი არც ისე ძლიერია, როგორც მისი მეთაური გვარწმუნებს. პირველ სერიოზულ გართულების უმალ, შიგნიდან თუ გარედან, «სვიან მეფეს» რეტი ესხმის და მხოლოდ თავის ძვირფას გვამის ხსნაზე ზრუნავს. მას უკვე მზათა აქვს ამ შემთხვევისთვის ლენინის ცნობილი ლოზუნგი: «თავს უშველეთ, სარდაფში შეძვერით, დაუბრუნდით არალეგალურ პარტიულ მუშაობას!»

შიშის დღენი

თუმცა დრომ მოიტანა უკვე, რომ მკითხველს ჩვენს შინაურ ავკარგზე გამოვსაუბრებოდი, მაგრამ ეს ჩემი წადილი ამჟამადაც გამოუთქმელი მრჩება, და ბრალი კი ისევ საერთაშორისო იმ ახლართთახლართვას ადევს, რომლისაკენაც ძალაუნებურად იხრება ყოველ ჩვენგანის გულისყური, და გამოხმაურებასაც საჭიროებს.

ხოლო ერთი კი უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევებში მიზანი ჩვენი ამბავთა უბრალო აღნუსხვით სულაც არ განისაზღვრება: ეპიური ქრონიკა დღევანდელ ქართველისათვის არ არსებობს! «სახლისა თვისისა შურით შეჭმული», ის აკვირდება და იკვლევს მოვლენებს იმდენად, რამდენადაც მათი მსვლელობითა და განვითარებით აღმოიცნობა ტყვედქმნილ საქართველოის ბედის ტრიალი... ამიტომ არის, რომ ამჟამინდელ ქართველ პოლიტიკოსის ყალამს მაშინაც კი, როცა ის გარეგნულად დაშორებულსა და უცხო თემას ეხება, მიზანში მაინც ისევ ქართული პრობლემა აქვს ამოღებული.

«დამ. საქარ.»-ს იანვრის გამოცემაში მე დავსვი კითხვა: ვის და სად მოედება ეთიოპიაში ავარდნილი ხანძარი? მასუკან ყოველდღიური მაგალითებით უკლებლივ მტკიცდება, რომ ევროპაშიაცა და მის გარედაც მრავლად მოიპოება ისეთი პუნქტები, სადაც გაკუპრულ ბოძებს უკვე დასტრიალებს აფრიკის ნაპერწკალი.

ის, რაც ჩვენს თვალწინ იშლება ევროპაში, შეიძლება თანმიმდევრობითი კავშირით არ ებმოდეს ცეცხლში გახვეულ აფრიკას და მიზეზობრივად იმავ ევროპის ახლოწარსულთან იყოს გადაბმული, მე მაინც იმ აზრზე ვდგევარ, რომ გასულწლის ღვინობისთვეში ერიტრეა-სომალიაში ამტყდარმა ზარბაზნის ჭექამ ბევრს მოამარჯვინა ხელში ჩახმახი.

თავისთავად საგულისხმოა, რომ უკიდურესად გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობა უნდა ესარგებლათ ყველა იმათ, ვისთვისაც ომისშემდგომი ვითარება მიუღებელი გამოდგა და ზოგ მომენტში აუტანელიც. თეორიულ კრიტიკასა და ბუნდოვან უკმაყოფილებას თავისთავად მოსდევს აშკარა რევიზიული სულისკვეთება და, როგორც მისი ბუნებრივი შედეგი, პრაქტიკული გამოსვლები აწუნებულ სიტუაციის შესასხვაფერებლად; იტალიის «კოლონიალ» ომის ნახმევით ევროპა შეტოკდა...

აქ ზედმეტი არ არის აღინიშნოს ერთი ფორმალი მხარეც, რაკი სიტყვას მოება: სახეში მაქვს ის დელიკატური მდგომარეობა ერთა ლიგის მიმართ, რომელშიაც იმყოფება იტალია დღიდან სანქციების დადებისა! მრავალ მოსაზრებათა გამო იტალია ერთა ლიგაში კვლავ განაგრძობს მონაწილეობას, ამავე დროს კი სახელმწიფურ პრესტიჟისა და სასიცოცხლო ინტერესების დაცვა ავალებს მას ამავე დაწესებულებასთან სასტიკ განუწყვეტლივ კონფლიქტში იმყოფებოდეს.

ფორმალური მოსაზრებით ერთა ლიგის წევრობა თავისთავად ჰგულისხმობს ლიგის სტატუტის მიღებას სახელმძღვანელოდა და აღსასრულებლად, მაგრამ განა იშვიათად წააწყდებით ცხოვრებაში ისეთს მოვლენებს, როცა აკინძული იურიდიული სტატიები და პარაგრაფები ყირავდებიან, თუკი ამას მოითხოვს საგნის არსება და საქმის წარმატება.

საიმპერიო განდიდების გზაზე გამოსული ახალი სულით შთაბერილი იტალია ველარ გადაუხვევს ნახევარწლის წინად გადადგმულ ნაბიჯს. იმათ კი, ვისაც ფორმალურ მხარის გარეშე არაფრის შესმენა უნდათ, ავიწყდებათ, რომ უკანდახევა აფრიკაში წარმოებულ ოპერაციებიდან ერთის მხრით, და რადიკალი შეცვლა ჟენევაში აღებულ გეზისა მეორის მხრით, იტალიას ჩასწევდა მეორე ხარისხოვან სახელმწიფოთა რიგში, ხოლო მის შინაცხოვრებაში ესევე გარემოება ყოველივე ეჭვის გარეშე სოციალ აღრევის საბაბად გარდიქმნებოდა!

იტალიის შეხედულება ერთა ლიგისადმი რეზოლუტიურად ასე შეიძლება გამოითქვას: უქნარი და საზოგადოდ უვარგისი გამოდგა ეს საკრებულო; სავსებით გააცრუვა მასზე აგებული იმედები; ომის საშიშროება ოდნავაც ვერ ააშორა კაცობრიობას; ვერ მისცა შვების მალამო აფორიაქებულ ცხოვრებას; თვით—საკუთარი არსებობით—გახდა მშვიდობიანობის დამრღვევი ფაქტორი...

თქმა არ უნდა, ერთა ლიგა საზოგადოთ მართლაც ასცდა სწორ გზას და გადააუკუღმავა თავისი დანიშნულება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამაში პასუხისგება მეტნაკლებობით ყველას მიუძღვის! ასეა, თუ ისე, ამ ხნობამდის სახელმწიფონი ერთა ლიგის მიმართ ორი მომენტით ხელმძღვანელობდენ: 1) ლეგალი ღონისძიებანი ერთა ლიგის მოდიფიკა-

ციისა, ანდა, ვთქვათ, მთლად მისი გაუქმებისათვის; 2) უფლება სეცესიისა, უკეთუ პირველი ცდა ვერა სჭრის.

თუმცა ერთა ლიგას არ ძალუძს თანაბრად დააკმაყოფილოს ცალცალკე თვითეული წევრის მოთხოვნილებები და პრეტენზიები, მაგრამ უკმაყოფილონიცა და შეურიგებლად განწყობილნიც არც თუ ისე ხალისით მოისურვებენ ლიგის «პროკრუსტის საწოლში» მთლად მოიმტვრიონ სახსრები! ერთა ლიგის გადახალისება უნდა დადგეს საერთაშორისო დღის წესრიგში...

სეცესსიის გზას დაადგა იაპონია, როცა მიჰხვდა, რომ მისი ექსპანსია შორეულ აღმოსავლეთში ერთა ლიგის წევრთა უმეტესობის წინააღმდეგობასა და პროტესტს იწვევდა; ამისა გამო მან სასარგებლოდ მიიჩნია თავისი საარსებო ინტერესების დაცვა ერთა ლიგის გარედგომით განეგრძო. ერთა ლიგა მიატოვა გერმანიამაც, როცა აგრეთვე დარწმუნდა, რომ ვერსალის დამსჯელი სული აღმოუფხვრელი შთებოდა ომის დამთავრების თუთხმეტი წლის შემდგომაც. სწორუფლებიანობასა და თავის საშვენო სახელმწიფურ პატივის მოხვეჭასა და დამკვიდრებას მესამე რაიხიც ლამობს ერთა ლიგის გარეშე მოაგვაროს, ამავე გზას გაჰყვნენ ზოგიერთი სხვა სახელმწიფონიც.

უსათუოდ მჭრე მოსაზრებებით უნდა ეხელმძღვანელა იტალიას, 18 გიორგობისთვის შემდეგ კიდევ რომ თანაწევრობს ერთა ლიგაში, მაგრამ საჭირო ხდება იმისი აღნიშვნაც, რომ მთელ ამ დღეთა მანძილზე იტალიური ჟურნალ-გაზეთები ერთხელ აღებულ შეურიგებლობით მისდევენ ანტილიგურ პოლიტიკას. გასაგებია, რომ ასეთივე უნდა იყოს მმართველ წრეთა შეხედულებაც.

ცოტა ხნის წინ ხმა გავრცელდა, თითქოს იტალია უცდიდეს «ცამეტთა კომისიის» რეზოლუციას და იმ შემთხვევაში, უკეთუ მის მიერ დადებულ იქმნება ემბარგო, ან ებრვე სხვა რეპრესსალიები, არ დაიყოვნებს ლიგიდან გასვლას. როგორც ირკვევა ამ წერილის თხზვისას (11 მარტი), ზემოაღნიშნულმა კომისიამ ჯერხნობით საზავო წინადადებით მიჰმართა ორთავე მოქიშპე მხარეს და, საფიქრებელია, თავის განაჩენს შეუფარდებს გარემოებათა განვითარებას.

რა ემჯობინება ფაშისტურ ხელისუფლების ინტერესების მიხედვით, ამის განსჯაში მე ვერ შევალ, თვინიერ ამისა კი ვფიქრობ, რომ ერთა ლიგისადმი არსებულ პოზიციის ასე შეურიგებლად გაგრძობა თავის დროზე ალბად უკარნახებს იტალიას ემბარგოსა და სხვა აქტების დაუცდელადაც ლიგის წევრობაზე უარი სთქვას.

ყოველივე ამის გარეშე «ცამეტთა კომისიის» ზემოხსენებულ ნაბიჯს ერთგვარი ცვლილება შეაქვს საერთაშორისო კონიუნქტურაში: იტალიამ პრინციპიალად მიიღო ჟენევის საზავო წინადადება, ხოლო ამავე დროს აჩქარებული ტემპით განაგრძობს ომს აბისინიაში მოტორიზულ ნაწილთა (და განსაკუთრებით საჰაერო ფლოტის) ინტენსიური ამოქმედებით.

ჟენევაში განზრახული საზავო საუბარი არ უნდა იყოს ადვილად შესასრულებელი: იქ «ფაქტი» უპირისპირდება «უფლებას», «მოქმედება»—«პრინციპს»! ორთავეს გაკაჟებული «ადეპტები» ეგულება, ორთავენი ფანატიკურად დაჯერებულნი არიან თავის სიმართლეში: ჟენევაში მძიმე გამოცდა იწყება...

ამნაირ არევდარეულობაში ჩაფლულ მდგომარეობას ამასობაში მიემატა კიდევ ერთი თავსამტვრევი გარემოება: გერმანიამ ხელახალი ცალმხრივი აქტით უვალდებულო ჰყო თავისთვის ვერსალის ხელშეკრულების კიდევ ერთი დადგენილება, რომლის ძალით დაწესებული იყო რაინლანდის დემილიტარიზაცია განსაზღვრულ ვადით. ამ სტრიქონების ქრონოლოგია უსწრებს ინციდენტის მხოლოდ დასაწყისის პერიოდს და ღმერთმა უწყის, ხვალ და ზეგ რა გამოტყვრება ახალი...

საფრანგეთში უკიდურესი აურზაურია: გერმანიის უკანასკნელი გამოსვლა საფრანგეთისათვის ყველაზე უფრო საგრძნობ საგანს შეეხო: იმავ ვერსალის ტრაქტატის დარღვევამ გერმანიას მისცა რეგულარ საფუძველზე აგებული ჯარი, რომლითაც ის ეხლა საფრანგეთის მიჯნას პირისპირ მიეკრა!

მესამე რაიხი მეთოდიურად იბრუნებს დაკარგულ პოზიციებსა და გავლენას საერთაშორისო მიმართულებაში: ჯარის აღდგენითა და დემილიტარულ ზონების მოსპობით იგი ამთავრებს სახელმწიფურ ემანსიპაციის ერთ უკანასკნელ ეტაპთაგანს, რომლის რკალი შეიკვრება მაშინ, როდესაც წართმეულ კოლონიებზე დაწესდება მისი ასე ვთქვათ bonorum possessio, და ვინ იტყვის, რომ მისი რეალიზაცია მიუთხრობელ მომავალს უწერია?!

აღშფოთებული საფრანგეთი გერმანიის ახალ გამოსვლას ლოკარნოს პაქტის დარღვევად აცხადებს და გადაჭრით მოითხოვს დემილიტარულ ზონის აღდგენას, წინაამდეგ შემთხვევაში იმუქრება, რომ გერმანიისადმი ერთა ლიგას მიაღებინებს ფინანსიურსა და ეკონომიურ სანქციებს, ვითარცა პრელიმინარ ზომებს. გერმანია კი გადაჭარბებულადა სთვლის ჩადენილ ყოფაქცევის ასეთს კვალიფიკაციას და თავისი მხრით დასძენს, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება არსებითადა და ფაქტიურად გაბათილებული არის საფრანგეთ-რუსეთის უკანასკნელი პაქტით! ვინ არის მართალი ამ «ერისტიკაში», ჩვენ ვერ გამოვედავებით, ერთი კი ცხადია, რომ საფრანგეთისა და რუსეთის ახალი ჯურის შეუღლება (არსებითათ ეს არის სამხედრო კავშირი) ყოველგან გაგებული არის, როგორც ახალი მომენტი, რომელსაც ძალუძს ძირიანად შეასხვაფეროს ევროპაში არსებული სიტუაცია...

ამ ფაქტთან დაკავშირებით აუცილებელი ხდება პრაქტიკულ მნიშვნელობის კითხვის დასმა: შესძლებს საფრანგეთი სათანადო კოალიციის მოწყობას ჟენევაში? გადიხრება მის სასარგებლოდ ინგლისის

ნებით ამოძრავებული «წონასწორობის» დამჭერი spiritus rector-?

უთანხმოებისა და არევ-დარევის მიზეზი ყოველს შემთხვევაში უფრო ღრმა არის, ვიდრე ეს ზოგიერთ პოლიტიკოსს ჰგონია, გარნა მისი სიმძიმის ცენტრიც სულ სხვაგანა დევს! მირაჟებთან ბრძოლა სერვანტესის გმირის ხელობაა და არც პანიკის ატეხა მაინცდამაინც შეადგენს სახელმწიფო კაცთა ხელობას...

გერმანია ღონეს იკრეფს და ემზადება; ეს ხდება დაუფარავი სიცხადით. საფრანგეთს სიმშვიდე ჰმართებს, და ამას მას აცლის ის პროვოკატორი, ვინც თავად უცთომლადა ჰგრძნობს და ჰხედავს, ნამდვილად ვის წინაამდეგ იმოსება ძალით გერმანიის მილიტარული ორგანიზაცია... ეს ის პროვოკატორია, რომელიც ათასგვარ ხრიკებითა და ბინძური საშუალებებით ცდილობს დაანგრიოს მეორე დიდი შორეული იმპერიაც, ასევე მთელის თავისი ბუნებითა და სისტემით წითელ იმპერიალისმის წინაამდეგ რომ არის მომართული.

ქვეყნის ამშელი პროვოკატორი აქ დღემუდამ იმის ცდაშია, რომ საფრანგეთში შეჰქმნას ალიაქოთური ატმოსფერა, გააღრმავოს უნდობლობა და განხეთქილება მასა და გერმანიას შორის, ალაგალაგ ჩხვლეტითა და გაღიზიანებით გამოიწვიოს ხელახალი სისხლისღვრა და, მაშასადამე, ერთხელ კიდევ «გარეწარაქციოს რისხვაი» და გადაარჩინოს თვისი «სიკვდით შემოსილი წყლულება»...

იქ კი—შორეულ აღმოსავლეთში—ესევე პროვოკატორი აღმართულ ძლიერების აშორებას იაპონიის დისკრედიტაციის მეოხებით ოცნებობს! ნიშნები არის, რომ ბოლშევიკების ალარმისტულ ჩმახვას შორეთში უფრო ნაკლები გასავალი აქვს: არამც თუ ამერიკაში, სადაც მოსკოვს ისევე შორიახლო უვლიან, როგორც სახელგატეხილ დედაკაცს, მანჯუკუოს ხუნხუზებმაცა და ჩინეთის ბანდიტებმაც დაბოლოს შეიგნეს, რომ, ქრთამის გაცემის გარეშე, რუსეთისაგან არავითარი მოვლა და პატრონობა არ არის გამოსალოდნელი! თვით გასაბჭოებულ გარემონგოლეთშიაც იმედი გადაუწყდათ ბლიუხერის ტანკებისა და აეროპლანების ძლევამოსილებაში...

იაპონიის იზოლაცია კომუნისტებს ვერ გაუნაღდათ. მესამე ინტერნაციონალის აქციებს «ტაიფუნი» ანიავებს. შორეულ აღმოსავლეთში მოსკოვის საქმე განწირულია!..

დრო არის, რომ ევროპის «სნობებმაც» შეიგნონ, რომ პროვოკატორი მოსკოვია, მესამე ინტერნაციონალის შემქნელი, მასაზრდოებელი და წამქეზებელი იმპერიალისტური რუსეთი!

ის უნდა დაინგრეს, რომ თავბრუდასხმული ერები და სახელმწიფოები მთლად არ ჩაეფლნენ დაღუპვის წუმპეში...

Carthaginem delendam esse!

რ. ინგილო.

განახლებული ირანი

(პოლონურ ჟურნალებიდან)

II.

პოლიტიკური პერსპექტივები.

როგორია ირანის სამეურნეო აღორძინების პოლიტიკური შედეგები? შეეფერება გარეგანი პოლიტიკური ფორმა ერის ეკონომიურ ვითარებას?

თავის პოლიტიკური ფორმით ირანი ავტორიტარული სახელმწიფოა შაჰინ-შაჰის მეთაურობით; მის გვერდით მოქმედობს წარმომადგენლობითი დაწესებულება—მეჯლისი (პარლამენტი) კანონმდებლობითი ფუნქციებით და მთავრობა, როგორც აღმასრულებელი ორგანო. ყოველი ღონისძიებანი ტარდებიან მეჯლისში, რის შემდეგ ხდებიან სავალდებულონი და იქცევიან კანონად. პიროვნების და ქონების ხელშეუხლებლობა დაცულია ძირითადი კანონებით. შრომის და პროფესიის თავისუფლება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია.

ამრიგად პოლიტიკური ზედნაშენი სავსებით ეგუება და უდგება ქვეყნის დღევანდელ განვითარების შინაარსს. არა დაცილება ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის, არა პოლიტიკის ზეგავლენა ეკონომიკაზე, ან წინაამდეგ, არამედ სრული ჰარმონია ამ ორ ფაქტორთა შორის—აი დამახასიათებელი თვისება ირანის სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა. ხოლო რა სახეს მიიღებს ირანის პოლიტიკური წყობა შემდეგში—ძნელია ამის თქმა, თუმცა მისი საერთო მიმართულება დღესაც ნათელია. ის უნდა წავიდეს სახელმწიფოს კონსოლიდაციის ხაზით, წარმომადგენლობითი სისტემის განმტკიცებით.

მაგარი ხელისუფლება და ხალხის ინტერესები—აი სახელმწიფოებრივი ლოზუნგი ახალგაზდა ირანის.

მაგრამ ირანის ბედი მარტო შინაური ფაქტორებით არ ამოიწურება. მისი ისტორიული ვითარება მეტად აქტუალურს ხდის ირანის საგარეო მდგომარეობას.

მერე როგორია ეს მდგომარეობა ქვეყნის რეკონსტრუქციის ფაქტორების თვალსაზრისით?

როგორია მისი გზები და პერსპექტივები?

როგორც ზევითა ვსთქვით, გუშინდელი სპარსეთი ფაქტიურად ინგლისის და რუსეთის ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენდა. ეს ექსპლოატაცია არ კმაყოფილდებოდა მარტო ეკონომიური სფეროებით და ხშირად ქმნიდა განსაზღვრულ პოლიტიკურ ფაქტორებს, რაც ძველ სპარსეთს გასაქანს არ აძლევდა და სულს უხუთავდა. დღევანდელი შაჰის მოსვლამ და საერთაშორისო კონიუნქტურამ საზღვარი დაუდო უცხოელთა თარეშს და ქვეყანა განახლების გზაზე გამოიყვანა. მაგრამ საგულისხმოა, რომ ირანი შინაგან განვითარება-აღორძინებასთან ერთად ენერგიულად მუშაობდა საგარეო მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. შინაგანი სიმტკიცე, პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრების მოწყობა გახდა თავდები საგარეო გავლენის და ავტორიტეტის განმტკიცების საერთაშორისო ასპარეზზე.

ამ შინაგან ვითარების მნიშვნელობა პირველად

ინგლისმა დააფასა და «ნებაყოფლობით» დასტოვა და დაუბრუნა ირანს გამაგრებული კუნძულები სპარსეთის ყურეში—ბასიდუ და განჯანი. იქ ბრიტანეთის დროშა ირანის ლომმა შესცვალა. ამ პატარა ფაქტში იმალება დიდი ისტორიული ამბავი, რომლის ნამდვილ შინაარსს, ალბად, ახლო მომავალი გაგვიხსნის. მაგრამ ის თავის თავადაც მეტად მნიშვნელოვანია და გვიჩვენებს ინგლისის პოლიტიკის შემობრუნებას ირანთან კეთილ განწყობილების დასამყარებლად.

ამასვე ადასტურებს მეორე ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, რაიც გამოიხატა ირან ერაყის ურთიერთობაში. უნდა ითქვას, უკანასკნელ ხანამდე მეტად გამწვავებული მდგომარეობა იყო ამ ორ მეზობელ და მოძმე ერთა შორის. ხშირი კონფლიქტები, გაუგებრობანი და ურთიერთისადმი უნდობლობა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამ სიმწვავეს ირანი მით უფრო მძაფრად გრძნობდა, რამდენადაც ერაყის პროტექტორი ინგლისი იყო და ბუნებრივია ამ ანარორმალურ განწყობილების ძირს და მიზეზს ის ინგლისის პოლიტიკაში ხედავდა. ცხადია, ამ მდგომარეობას სარგებლობდენ ზოგიერთი უცხო ძალებიც, რათა ქვეყნის ამ კუთხეში დაჭიმულ ატმოსფერის კულტივიზაციით თავისი იმპერიალისტური ზრახვები გაენაღდებიათ,—განახლებული ირანი ისევ ძველ კალაპოტში ჩაეჭედათ და ამავე დროს ინგლისის სამფლობელოებისაკენაც გზა გაეკაფათ. ამ ბოლო დროს ეს ისე ხელშესახები და აშკარა გახდა, რომ შეუძლებელი იყო იგი ირანის სახელმწიფო მოღვაწეთ და განსაკუთრებით ინგლის არ დაენახათ და სათანადო ზომები არ მიეღოთ. და აი გასულ აგვისტოს რიცხვებში ამ «ისტორიულ გაუგებრობებსაც» ბოლო მოეღო და ორ მოძმე ერთა შორის (ირანი და ერაყი) მეგობრობის კავშირი დაიდო, რასაც ინგლისის წარმომადგენელი იდენი ერთა ლიგის სექტემბრის სესიაზე მიესალმა და დაადასტურა. ირან-ერაყის ამ შეთანხმებაში ინგლისმა, უეჭველია, დიდი როლი ითამაშა და მით სპარსეთის ყურეში ზავი დიდი ხნით უზრუნველყო.

ისიც იჭვს გარეშეა, რომ ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ერთ მთავარ დებულებიდან გამოდის: უზრუნველყოს ზავი მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში და მეგობრობა დაამყაროს აქ მის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან. ამ პოლიტიკის შედეგია ოთხთა კავშირის შექმნის ცდები, რომელშიაც შევლენ—ირანი, ერაყი, ოსმალეთი და ავღანისტანი *). ამ გეგმის რეალიზაცია დღეს სპარსეთში არავის საეჭვოდ აღარ მიაჩნიათ, ის მხოლოდ დღეების საქმეა. აქაც, როგორც ზევით ვსთქვით, ინგლისის პოლიტიკა სავსებით ეთანხმება ირანის საგარეო მიზნებს და უკანასკნელიც ამას მოხერხებულად იყენებს. პირველი მიისწრაფვის მცირე აზიის პაციფიკაციისაკენ, რათა ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში ხელები ექნეს გახსნილი. ხოლო მეორეს (ირანის) მიზანია კეთილი დამოკიდებულება დაამყაროს მეზობლებთან და განამტკიცოს სახელმწიფოს შინაური ძლიერება. აქ ირანის და ინგლისის ინტერესები ერთად მიდიან; ირანის დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრების უზრუნველყოფას აუცილებელს ხდიან.

და მართლაც, ბრიტანეთს დღეს არაფერი აქვს ირანში საძებარი. ობიექტიურად მისთვის უფრო სარფიანია მოწყობილი, სტაბილური ირანის სახელმწიფოს არსებობა რუსეთსა და ინგლისის სამფლობელოებს შორის, ვინემ სუსტი და დაბეჩავებული სპარსეთის, რომელიც ადვილად შეიძლება გახდეს რუსეთის სათარეშო ასპარეზად. ამიტომაცაა დღეს ინგლისმა უკუაგდო ირანის შინაურ საქმეებში ჩარევის პოლიტიკა და მას ელაპარაკება, როგორც სწორი-სწორს. ბრიტანეთის დღევანდელი პოზიცია შედეგია ათეული წლების გამოცდილების და ჭაპანწყვეტის... ყოველ შემთხვევაში ამ მხრივ ირანის დამოუკიდებლობას საფრთხე არ მოელის. ეჭვს გარეშეა ამას კარგად გრძნობენ ირანის ხელმძღვანელი წრეები და სათანადო ანგარიშსაც უწევენ.

ამრიგად, ირანის პლატოზე ორ მოქიშპე ძალათაგან ერთი—სამხრეთის—სერიოზულად და დიდი ხნით მოხსნილად უნდა ჩაითვალოს. ის უკვე შეუერიგდა განახლებული ირანის ნაციონალურ ინტერესებს და იცნო მისი ცხოველმყოფელობა. ამ მხრივ ირანის ნორმალურ განვითარებას საფრთხე არ მოელის. ეს დებულება ძალაში რჩება, რასაკვირველია, იმდენად, რამდენად ინგლისი იჭვს არ აიღებს რუსეთის გავლენის ზრდებობაზე ირანში.

სულ სხვა მდგომარეობაა ჩრდილოეთში. 1918–20 წლებში სპარსეთი თითქოს განთავისუფლდა ჩრდილოეთის საფრთხისაგან; მის საზღვრებს მოსწყდა რუსეთის იმპერიალიზმის ტალღა, მაგრამ საბჭოების მიერ კავკასიის და კასპიის მხარის ხელმეორედ დაპყრობით ირანი კვლავ რუსეთის პირის-პირ აღმოჩნდა. იგი ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთითით სპარსეთს მოადგა იმავე ზრახვებით და ისტორიული მისწრაფებებით, რაიც საუკუნოებით იმპერატორის რუსეთს ასულდგმულებდა—გასვლა თბილ ზღვებისაკენ. მართალია საბჭოები კიდევ არ არის რუსეთი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეფის რუსეთი მოდიოდა აშკარა იმპერიალისტური ზრახვებით, ხოლო საბჭოები კი იმავე მიზნებს კომუნისტურ ლოზუნგებში ხვევენ. სწორედ ამ განსხვავებაში იმარხება უდიდესი საფრთხე ახლად აღორძინებულ ირანისათვის; ეკონომიური განვითარება და ქვეყნის ევროპეიზაცია უეჭველია უხვ მასალას შეუქმნის კომინტერნს მშრომელთა წრეებში კომუნისტური დემოკრატიისათვის. რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლება ხელსაყრელ მომენტამდე არსად გამოჩნდება; ფორმალურად კეთილმეზობლობის ეტიკეტსაც დაიცავს, მაგრამ თავის დამარღვეველ მუშაობას კი ჩაატარებს მისთვის ჩვეული იარაღით, კომინტერნით. ამ უკანასკნელის აგენტები, მოკალათებული სავაჭრო დაწესებულებებში და წარმომადგენლობებში—შეეცდებიან აქა იქ არევდარევის შეტანას, სახელმწიფო ცხოვრების მომლას

*) უკანასკნელი ცნობების მიხედვით ეს კავშირი უკვე შეკრულია.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ირანის ძველ მდგომარეობაში ჩაბრუნებას.

საბჭოების ამ აგრესიულ ზრახვებს თითქოს აადვილებს სპარსეთის ჩრდილო აღმოსავლეთის პროვინციების ეთნოგრაფიული ფერადობა. ჩრდილოეთით ირანის საუკეთესო ნაწილს შეადგენს ეგ. წოდ. სპარსული აზერბაიჯანი, სამი მილიონი მცხოვრებით და მდიდარი ბუნებით, რაიც რუსეთისათვის მუდამ სანუკვარ საგანს წარმოადგენდა, მეორეა მეშედ-შირვან-ბუჯნარდ-ასტრაბადის ხაზი, სადაც თურქების მოსახლეობა სჭარბობს. და აი ამ ორი უმთავრესი მიმართულებით მოდის რუსეთი. მან ამ მიჯნის ორივე მხარესთან შექმნა: კავკასიაში—ადერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკა, ხოლო კასპიის მხარეში კი თურქმენების «სოც. საბ. რესპუბლიკა». აქ რუსეთის პოლიტიკის მთავარი მიზანია ირანის საზღვრებში მოქცეული ადერბაიჯანის და თურქმენულ პროვინციების მცხოვრებლებში გაზარდოს და გააღვივოს ლტოლვა მიჯნის გაღმა არსებულ მოჩვენებითი «დამოუკიდებელ რესპუბლიკები»-სადმი და მით გაიადვილოს აღნიშნულ პროვინციების ირანისაგან ჩამოგლეჯა. ამით აიხსნება ბოლო ხანებში საბჭოების აგენტების სიუხვე განსაკუთრებით ამ რაიონებში. მათი მუშაობის საგანს შეადგენს აქ არა კომუნისტურ იდეების ქადაგი, არ ამედ მოსახლეობისათვის იმის მტკიცება, რომ ისინი ირანელნი არ არიან, რომ მათი ნამდვილი სამშობლო ჩრდილოეთით არაქსის გაღმა და აღმოსავლეთით თურქესტანის «სოციალ. რესპუბლიკაში» დევს. ადგილობრივ მკვიდრთაგან ისინი ცდილობენ შექმნან თავისი მომხრე ჯგუფები და მით გზა გაიწალდონ თეირანისაკენ. ამ მიზნით, ცხადია, საბჭოები შეეცდებიან მოხერხებულად გამოიყენონ რუსეთ ირანის ახლად დადებული ხელშეკრულება, რომელიც მას ნებას აძლევს ირანში იყოლიოს სავაჭრო მისიები და სხვა და სხვა ფირმების წარმომადგენლები. ვაჭრობა და სავაჭრო საქმეები ამათთვის მხოლოდ მოხერხებული კომუფლაჟია, რის ქვეშ სწარმოებს აშკარა პოლიტიკა და კომუნისტური პროპაგანდა. ამ მხრივ ირანი, რასაკვირველია, ევროპის სხვა ქვეყნებიდან გამონაკლისს არ წარმოადგენს.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ირანი დღეს ახალ ცხოვრების ასპარეზზე გამოსული გახიცდის მრეწველობის და წარმოების აღორძინების ყმაწვილურ ხანას, სადაც დაქირავებულ მუშათა რიცხვი დღითი დღე იზრდება, სადაც სოციალური და ეკონომიური ფაქტორები ცხოვრების ყველა კუნჭულში მძლავრად იჭრებიან და ობიექტიურად ნიადაგს უქმნიან კომუნისტურ დემაგოგიას. ასეთ პირობებში საბჭოთა კავშირის ირანის საზღვარზე ყოფნა, მისი აგენტების ქვეყანაში მოკალათება სახიფათოა, მეტი რომ არა ვსთქვათ, ერის ნორმალურ განვითარებისათვის.

ამრიგად ირანი უზრუნველყოფილი შიგნით; დაცული დასავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით—გამიშვლებულია ჩრდილოეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით. ის პირის-პირ დგას ძველი ნაცნობი მტრის ჭინაშე. ამ მტერმა, მართალია, ფერი იცვალა, მაგრამ კბილები და მადა ძველი შერჩა.

აი ერთად-ერთი რეალური საგარეო საფრთხე ირანის მომავლისათვის. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ეს ფაქტი სათანადოდ აქვთ გათვალისწინებული ირანის პოლიტიკის მესვეურთ. ამის თავდებია შაჰის ბრძნული პოლიტიკა, რომელიც ცდილობს მეზობლურ კავშირი იქონიოს მოწინავე ქვეყნებთან, რათა დააზღვევოს თავის ქვეყანა მოსალოდნელ სიურპრიზებისაგან.

საბედნიეროდ ბევრია ისეთი ქვეყანა და ხალხი, რომელთა სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს აზიის ამ ნაწილში მაგარი და ცივილიზაციური ირანის სახელმწიფოს არსებობას.

აი ეს აძლევს იმედს და რწმენას ირანის ყველა მეგობრებს.

X. X.

ვარშავა.

აკადემიკოსი ნიკო მარრი (1864—1934)

(ნიკო მარრის სამეცნიერო მუშაობა და ღვაწლი) *)

სამეცნიერო მოღვაწეობა ნიკო მარრისა იწყება 1888 წლიდან, როდესაც მან მოათავსა გაზეთ «ივერია»-ში (№ 88) სტატია: «ბუნება და თვისება ქართული ენისა». შემდეგ ის დიდხანს ამუშავებს სამაგისტრო დისერტაციას. ხოლო სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შემდეგ მისი სამეცნიერო კარიერა უზრუნველყოფილია: 1891 წლიდან ის არის პრივატ-დოცენტი, მერმე გახდა ორდინარული პროფესორი, 1909 წელს აირჩიეს სამეცნიერო აკადემიის ადიუნქტად, ხოლო 1912 წლიდან ნამდვილ წევრად აკადემიისა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ბოლესეს შემდეგ ქართულ-სომხურის სპეციალისტი აკადემიაში არ ყოფილა. ეხლა მას გახსნილი ჰქონდა ასპარეზი აუარებელი გამოცემა მოეწყო და სამეცნიერო მიზნით მივლინებანი აეღო. ყველა ამ საშვალებით მან ფართოდ ისარგებლა და მისი ტიტანიური მუშაობა გაჩაღდა.

ეხლა უფრო მარრის მუშაობა მიმართულია ქართული ლიტერატურის და ენისადმი და ეხება იმ მთავარ მიზანს, რომელიც გიმნაზიიდან აქვს დასახული, ესე იგი ქართული ენის გამოკვლევას. მაგრამ ქართული ენის გამოკვლევისათვის საჭიროა ქართული მწერლობითი ძეგლების გამოცემა, ცოცხალი მონათესავე ენების და კილოკავების შესწავლა და ამ საგნებისკენ არის მიმართული მისი აბობოქრებული მუშაობა. მან დაარსა მთელი რიგი გამოცემათა, მრავალი სერიები, რომლებშიაც იბეჭდებოდა მისი და მის თანამშრომელთა გამოკვლევანი, მასალები და შრომანი, ასეთებია მაგალითად: 1) ტექსტები და გამოკვლევანი სომხურ-ქართული ფილოლოგიის შესახებ. 12 წიგნი, რომელთა შორის ცხრა

---

*) პირველი ნაწილი ამ მოგონებათა (ნიკო მარრი ახალგაზდობაში) დაიბეჭდა გაზეთ «საქართველო»-ში (აპრილი და მაისი 1935 წ. № 7), ვიხილიდან შემდეგი «საქართველო»-ს ნომერის გამოსვლა დაგვიანდა, ეს მეორე ნაწილი იბეჭდება «დამ. საქართველოში»,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ეკუთვნის, 2) Bibliotheca Armeno-Géorgica; 3) Mouumenta Agiographica Géorgica; 4) მასალანი იაფეტური ენათა მეცნიერებისა; 5) საქრისტიანო აღმოსავლეთი (ხრისტიანსკი ვასტოკ), გამოცემულია 18 წიგნი ექვს ტომად; 6) ანისის სერია, გამოცემულია 12 წიგნი, 7) ტექსტები და გამოკვლევანი კავკასიის ფილოლოგიის შესახებ; 8) იაფეტური კრებული, გამოსულია 1933 წლამდის 7 წიგნი; 9) შრომანი კომისიისა კავკასიის ტომთა შესასწავლად; 10) შრომანი იაფეტური სემინარიისა, და სხვა მრავალი სერიები, განსაკუთრებით ბოლო დროს სხვადასხვა სამეცნიერო აკადემიათა, ინსტიტუტთა, მუზეუმთა, საზოგადოებათა «მოამბები»-ს სახით თუ «შრომებით». ამას გარდა ის სტატიებს ბეჭდავდა სამეცნიერო აკადემიის გამოცემებში, საარქეოლოგიო საზოგადოების აზიურ განყოფილების «ზაპისკებში», განათლების სამინისტროს ჟურნალში და სხვა. მისი გამოცემანი და სტატიები ხუთასს ნომერს აღემატება, მარტო იაფეტური თეორიის სტატიების ჩამოთვლას მთელი წიგნაკი უჭირავს.

ნ. მარრის გამოცემული ტექსტები სამაგალითოდ ჩაითვლება ჩვენს ლიტერატურაში თავისი სიზუსტით, კრიტიკულის გარჩევით და ყოველგვარი სამეცნიერო აპარატით, განმარტებით და შენიშვნებით. მაგალითისთვის საკმაოა დავასახელოთ «აბდულ მესიანი» და «თამარიანი» ქართველთ მეხოტბეთა თხუზულებანი, გამოცემა 1902 წ., რომლებშიაც შეძლებისამებრ აღდგენილია ტექსტები და ლექსები დაწყობილია გასაგებათ. წინეთ ხომ ეს ლექსები არეული და გაუგებარი იყო უმეტეს შემთხვევაში. მანვე პირველმა გააშუქა, რომ აბდულ მესიანი წარმოადგენს დავით აღმაშენებელის ქებას და არა თამარ მეფისა და მით საერო პოეზიის წარმოშობის ეპოქა საქართველოში უკან დასწია თითქმის ერთის საუკუნით, ვიდრე მიღებული იყო. მანვე დაამტკიცა, რომ თამარიანი შესდგება 12 განცალკევებული ოდისაგან (ქებისაგან), რომელნიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ამბების მიხედვით არის დაწერილი. კიდევ უფრო შესანიშნავი და მნიშვნელოვანია მისი «გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების გამოცემა» (1911 წ.), რომელიც მან მოიპოვა ქართულ ჯვარის მონასტრის წიგნთ საცავში, იერუსალიმის მახლობლად, გარდა კრიტიკულად გამოცემული და გარჩეული ტექსტისა და მისი რუსული თარგმანისა, ამ გამოცემას დართული აქვს დღიური მისი მოგზაურობისა შავშეთ-კლარჯეთში, რომელშიდაც დაწვრილებით აწერილია ყველა ის ეკლესია-მონასტრები, რომელნიც მოხსენებულნი არიან ცხოვრებაში, და აგრეთვე სხვანიც, რომელნიც მოიპოვებიან შავშეთ-კლარჯეთში, ფოტოგრაფიული სურათებით, წარწერათა გარჩევით და ახსნით. ამას გარდა აქ შეკრებილია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, ლექსები, თქმულებანი, სიმღერები, იგავ-არაკები, აგრეთვე ლექსიკური მასალა და სხვა. მეტი რომ არაფერი დაეწერა და გამოეცა მარრს მარტო ეს შრომა ჩაეთვლებოდა დიდ ღვაწლად და დამსახურებად.

ასეთივე დიდი ღირსების არის მისი გამოცემა «სახის მეტყველისა» ქართულ-სომხური ტექსტი რუსული თარგმანით, ლექსიკონით და კრიტიკულის აპარატით (1904 წ.).

ასეთივე არის «იპოლიტეს თარგმანი ქებათა ქებისა»; «იერუსალიმის წარტყვენა სპარსთა მიერ 614 წელს ანტიოქოს სტრატეგოსისა» (1907-1909), თქმულება პირველი ეკლესიის აშენებისა ლუდდის ქალაქში (1901 წ.).

კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია მისი გამოკვლევა რუსთაველის ვეფხის ტყაოსნის შესავლისა და ბოლო სიტყვაობისა (1910 წ.). სხვების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მარრი გრიგალია თავის მუშაობაში, ის მუდამ ღელავს, ემზადება თუ ლექციისათვის, ან მოხსენებისათვის, ან გამოდის ოპონენტად დისერტაციის დაცვის დროს, ის ყოველთვის უაღრესად მომზადებულია და ამიტომ დიდის რიხით იცავს თავის პოზიციას. მადლობა ღმერთსო, რომ ხალატიანცის დისერტაციას მოვრჩითო, ერთხელ მითხრა მისმა მეუღლემ, ნიკო ისე ღელავდა, რომ 15 დღე არ უძინიაო. როგორ არ უნდა ავღელებულვიყავიო, განაგრძო ცოლის სიტყვები მარრმა, ძნელ მდგომარეობაში ჩავვარდი, არ მიმეცა ხარისხი არ შეიძლებოდა, ნამუშევარი ჰქონდა, მაგრამ მასთან ცხადი იყო ჩემთვის, რომ შრომა ერთობ სუსტობდა. ასე აბუჩად აგდება მოსე ქორონელისა ყოვლად დაუშვებელიაო (პროფესორი ხალატიანცი გაიტაცა კარიერის კრიტიკამ მოსე ქორონელისა და უარყოფით კრიტიკაში კარიერს გადააჭარბა), ისე ხომ ვერ მოვიქცევოდი, როგორც პროფესორი კორში მოიქცაო. ის ჩემს მერე გამოვიდა და ასე დაიწყო თავის ქათინაურები: მე დღეს უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ჩემა შეგირდმა ასეთი შესანიშნავი და ფასდაუდებელი შრომა წარმოგვიდგინაო და სხვა. მერმე ჩემთან სადილათ იყო და ვკითხეო, მართლა ასე მოგწონთ ხალანთიაცის შრომაო? მიკვირს თქვენი საქმე, ნიკო იაკობის ძევ, მითხრაო, თქვენ სომხიდან ელით მეცნიერულ შრომასაო, სომეხს არშინი უნდა მისცეთ ხელშიო, და თუ ვინმე მათგანი შეეცდება მეცნიერებაში იმუშაოს, უნდა მოუწონოთ, თორემ გაიქცევა და დუქანს გახსნისო. ამის შემდეგ მარრი კორშის სახელს მკაცრი ეპიტეტით იგონებდა ხოლმე.

მეტადრე ღელავდა მარრი, როდესაც თავის შეგირდების შრომებს არჩევდა. აქაც პარიზში, როდესაც ლექცია წაგვიკითხა: «ქართველი ერის კულტურული შუბლი», მისმა მეუღლემ მითხრა, სამ დღეს არ უძინიაო. ასე ყურადღებით ექცეოდა ნიკო მარრი ყველა თავის ლექციებს და მოხსენებებს. ყოველთვის ატოკებული და აწეული იყო ნიკო მარრის ბუნება, როდესაც ის მოხსენებას აკეთებდა, თუ ლექციას კითხულობდა. მაგრამ «წინასწარ საეკლესიო კრებაზედ», სადაც საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი ირჩეოდა, ის ხომ ცეცხლს და მეხს აყრიდა თავზედ უვიც რუსების ამხედრებულ საეკლესიო წარმომადგენლებს, რომელნიც ლამობდენ განექიქებინათ ისტორიული როლი ქართული ეკლესიისა, მისი ავტოკეფალობა და მნიშვნელობა საქრისტიანო მსოფლიოში. კრებას დაესწრენ ჩვენი ეპისკოპოსები, ლეონიდი და კირიონი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამათ ნაკლებათ იცოდენ ისტორია ჩვენი ეკლესიისა. მე თვითონ ლეონიდ ეპისკოპოსიდან გავიგონე: «ჩვენ ორი ეპისკოპოსი ნ. მარრმა შეგვიჯდინა მხარზე და ისე გამოგვიყვანა განსაცდელისაგან და რუსების თავდასხმისაგანო». დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რასაკვირელია, პროფ. ა. ცაგარელის დასწრებასაც. მას ბევრი ნაშრომი ჰქონდა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხში, მისი წიგნი ამის შესახებ საუკეთესო შრომაა, მაგრამ ტრიუმფი ქართულ ეკლესიას ამ კრებაზე ნ. მარრმა შეუქმნა თავის რიხიანი გამოსვლებით, ღრმა ცოდნით და უამრავი ფაქტების მოყვანით ჩვენი ეკლესიის თვითმართველობისა და მისი მამების უაღრესად განათლებული მოღვაწეობის აღნუსხვით.

ერთმა ცნობილმა და ყველაზე სინდისიერმა პროფესორმა, ლიტურგისტმა (გვარი აღარ მახსოვს, კრების წიგნი ხელთ არ მაქვს) შენიშნა მარრის დიდებული მოხსენების გამო: ვმადლობ ღმერთს, რომ ეს კრება მოხდა, უამისოდ ასეთ დიდებულს და შესანიშნავ მოხსენებებს ხომ ვერ მოვისმენდითო! ასეთივე შესანიშნავი არის მარრის წიგნაკი ვასტორგოვის წინაამდეგ, რომელშიაც მიწასთან გასწორებულია უვიცობა უტყუარის ფაქტებით რუსის თავხედი დეკანოზისა.

როდესაც ტფილისში კაზაკებმა ერთხელ რუსის ეგზარხოსის განკარგულებით მათრახებით გარეკეს საეკლესიო საქმეებზე შეკრებილი ქართველი მღვდლები სემინარიის დარბაზიდან, ნ. მარრი იმ დროს იქვე მახლობლად, სასტუმრო «სევერნი ნომრებში» იყო, როცა ეს გაიგო გიჟივით გამოვარდა გარეთ და ყვირილით გაეშურა კაზაკებისაკენ, როგორ ბედავენ ეგ ბარბაროსები უძველესი ეკლესიის ქრისტიანი მამების შეურაცხყოფას! და სხვა. ძლივს დააკავეს და სასტუმროში დააბრუნეს.

მარრმა მოსწრებული პასუხი იცოდა თავის ოპონენტებისადმი. როდესაც მან იაფეტელების მოსახლეობა მთელს ხმელთა შუა ზღვის ნაპირებს მოსდვა, ერთ კრებაზე ჰკითხეს: სად იწყება და სად თავდება ეს თქვენი იაფეტელებიო? მარრმა უპასუხა: ჯერ მითხარით, სად იწყება და სად თავდება სიმრგვლეო?!

იშვიათია მეცნიერი, რომელსაც იმდენი ემოგზაუროს, როგორც მარრს, ამ მოგზაურობაში ჰკრებს ის მასალას თავის იაფეტური თეორიისათვის და სწავლულობს სხვადასხვა ხალხთა ენებს, ეცნობა მატერიალურ და სულიერ კულტურის წყაროებს და ნაშთებს. მისი ნიჭი ამ შემთხვევაში საოცარია, ის ადვილად ერკვევა ენის სტრუქტურაში, რამოდენიმე კვირის შემდეგ მას შეთვისებული აქვს ამ ენის გრამატიკა, ჩაწერილი აქვს ტექსტები და უშვალოდ ელაპარაკება მცხოვრებთ. ამ მოგზაურობათა წიაღში, ცოცხალ ხალხებთან კავშირში, აქვს მას შექმნილი, როგორც თვითონ ამბობს, თავის თეზისები, თავისი იაფეტური თეორია და არა კაბინეტში ჯდომით.

ნ. მარრი არ არის განცალკევებული მეცნიერი, ის შემქნელია კავკასიის შესწავლის პეტროგრადის სკოლისა, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული კავკასიის გამოკვლევა ყოვლის მხრით, ლინგვისტიურად, ისტორიულად და კულტურულად. დიდი შრომა აქვს გაწეული მას ამ სკოლის შექმნაში და ხელმძღვანელობაში, მაგრამ მიღწევებიც დიდია, აუარებელი ტექსტები და მასალებია გამოცემული. აუარებელი საკითხები და პრობლემები გაშუქებულია, ბევრი ახალი წამოყენებულია და რიგშია დასმული. საკმარისია დავასახელოთ რა არის გაკეთებული ქართული ენის და მისი მონათესავე ენების და კილოკავების შესწავლაში. მან მოგვცა ჯერ ძირითადი ტაბულები ქართულის ზმნებისა, გრამატიკა ძველი ქართული ენისა რუსულ ენაზედ დაწერილი, ასეთივე გრამატიკა ახლად გადამუშავებული ფრანგულ ენაზედ ბრიერის მონაწილეობით, ქრისტომატიით და ლექსიკონით, ეს კაპიტალური შრომა სამუდამოთ დარჩება ქუაკუთხედათ ქართული ენის შესწავლისა ევროპიელთა მიერ და უსათუოდ ბევრ მეცინერს შესძენს ამიერიდან ქართულ ენას. ასეთივე დიდი ღირსების არის მისი გრამატიკა და ქრისტომატია ლაზური ენისა (1910 წ.); მეგრული ენის გრამატიკა და ქრისტომატია ალ. ყიფშიძისა მისი ხელმძღვანელობით გამოცემულია, მასვე აქვს შედგენილი გრამატიკა და ქრისტომატია სვანური ენისა, როგორც თვითონ ამბობს თავის მოხსენებაში, და თუმცა მათი გამოცემა დაგვიანდა *), მაგრამ მას ბევრი სტატიები აქვს სვანური ენის შესახებ დაბეჭდილი და მისი თაოსნობით გამოცემულია ბევრი მასალა ამ ენის შესასწავლად. ასეთივე ნაყოფიერია მისი შრომანი და სტატიები აფხაზური ენის შესწავლის საქმეში, რომელსაც მან უძღვნა ათზე მეტი სტატია, გამოსცა ლექსიკონი, ანბანი და სხვა; მისივე თაოსნობით არის დაწყებული კაკასიის მთიულების კილოკავების შესწავლა პროფ. შანიძის მიერ. მარრი სამჯერ მიემგზავრება დაღესტანში დაღესტნის ენების შესასწავლად, სამჯერ იყო სვანეთშიაც, რამოდენიმეჯერ აფხაზეთში, სამეგრელოში, ლაზისტანში, სომხეთში და სხვა ადგილებში.

მარრმა გააშუქა ზოგიერთი საკითხი ძველი ქართული ტექსტების კითხვისა, მაგალითად ასო «ⴑ»-ს სიტყვის ბოლოში ჩვენ წინეთ ე-ნად ვკითხულობდით, მან დაამტკიცა, რომ ⴑ დიფტონგია და უდრის ეჲ-ს, მაგალითად სიტყვა ქრისტⴑ უნდა წავიკითხოთ როგორც ქრისტეჲ, ხⴑ როგორც ხეჲ და სხვა. აგრეთვე შემოკლებულ სიტყვას რ~ა ჩვენ ეკითხულობდით როგორც «რათა», ხოლო მარრმა გვიჩვენა, რომ ძველად ეს იკითხებოდა, როგორც «რაჲთა» და ასეთი ცხოველი მაგალითი ჩვენ გვაქვს არა თუ უძველეს დროისთვის არამედ მე-17 საუკუნეშიც ზოგიერთ ეპიგრაფიულ წარწერებში.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. მარრს კავკასიის არქეოლოგიაშიც. პირველად მან თხრა დაიწყო ბორჩალოს მაზრაში, იქ სადაც წინეთ ფრანგი დე მორგანი მუშაობდა, და სადაც მოიპოვება აუარებელი სა-

*) ბ-ნ ი. მეგრელიძის სტატიიდან ვტყობილობთ («მნათობი», 1933 წ. № 8-9, გვ. 264), რომ დაწყებული ყოფილა ბეჭდვა რუსულ-ქართული ლექსიკონისა და სვანური ენის ქრისტომატიისა ლექსიკონითურთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავები ძველი ბრინჯაოს ხანისა, შემდეგ მარრი იწყებს არქეოლოგიურ გათხრას ძველი ანისის ქალაქის ნანგრევებისა, 1892 წელს და შემდეგ განაგრძობს ყოველ ზაფხულს 1904 წლიდან 1917 წლამდის, აქ აღმოჩენილ მრავალ რიცხოვან ძეგლებს უძღვნის ანისის სერიას, რომელიც შეიკავს 12 წიგნს, სხვათა შორის აქ იყო აღმოჩენილი უდიდესი ქართული წარწერა ეპიფანე კათალიკოსისა 1218 წლისა, რომელსაც ეჭირა მთელი კედელი ტაძრისა და ეს კედელი გადატანილი იყო ანისის მუზეუმში, მეორე ეკლესიის ქართულ წარწერას პროფ. ივანე ჯავახიშვილი ამზადებდა გამოსაცემად, მაგრამ ვგონებ ჯერ არ გამოუცია. მესამე ერთი საუკეთესო ქართული ტაძრის წარწერა ტიგრან-ჰონენცისა წინათაც ცნობილი იყო. სამწუხაროდ აუარებელი მასალა ანისის ქალაქის გათხრისა, შედეგი 15 წლის მუშაობისა, როგორიც იყო დღიურები გათხრისა, ფოტოგრაფიის ნეგატივები ძეგლებისა და წარწერებისა, ნახატები დ ნახაზები და სხვა გამოგზავნილი პეტროგრადიდან ტფილისის არქეოლოგიურ ინსტიტუტში რევოლუციის დროს სულ ერთიანად დაიღუპა გზაში. ზოგიერთი ნივთები და ბიბლიოთეკა ანისის მუზეუმისა გამოიტანეს ჩემ მიერ გაგზავნილმა არქეოლოგიურ ინსტიტუტის წევრმა დ. გარდეევმა და ბ-მა ლორის-კალანთარმა მანამ თათრები დაიკავებდენ ამ მხარეს. გარდა ანისის ძეგლებისა მარრმა შეისწავლა და გამოსცა აღწერილობა ბევრი სომხური ძველი ეკლესიებისა.

ქართულ არქეოლოგიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის მოგზაურობას შავშეთ-კლარჯეთში. დღიური ამ მოგზაურობისა, როგორც მოვიხსენიეთ, დართული აქვს მის გრიგოლ ხანცთელის გამოცემას, რომელშიაც აღწერილია დაწვრილებით ამ მხარის მრავალ რიცხოვანი ძეგლები და შემკობილია ფოტოგრაფიული სურათებით.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ნ. მარრს აგრეთვე ქალდური წარწერების აღმოჩენაში, შეგროვებაში და შესწავლაში, რამაც გააშუქა ძველის ძველი ისტორია წინა აზიისა. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი და ი. ორბელის ექსპედიცია ვანში 1916 წელს, რომლის დროს აღმოჩენილ იქმნა ყველა ცნობილ ქალდურ წარწერათა უდიდესი წარწერა ქალდელთ მეფის სარდურ მეორისა, მერვე საუკუნისა ქრისტეს წინ, რომელშიაც აწერილია მისი ომები აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ვანის სამეფოისა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ძველი მწიგნობრული ლიტერატურის შესასწავლად მარრის მოგზაურობას სინას მთაზე, იერუსალიმში და ათონზე 1902 წ. სინას მთაზე მასთან იყო ერთად ჩვენი სახელოვანი პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ამ მოგზაურობის დროს შეკრებილი და გადმოწერილი ძეგლები ჯერ გამოუქვეყნებელია, ხოლო სულ მცირე ნაწილია გამოცემული, და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ როგორც ჩანს წინასწარი მოხსენებიდან ეს მასალა პირველ ხარისხოვანია ჩვენი ძველი ლიტერატურის შესასწავლად. ამ მასალის გამოცემა პირველ რიგში უნდა დაისახონ მარრის მოწაფეებმა და პატრიოტებმა ივ. ჯავახიშვილმა *). ამ მოგზაურობის ნაყოფი იყო გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების გამოცემა, ჯვარის მამის აღაპებისა და გრიგოლ სომეხთა განმანათლებელის არაბული ვერსიის გამოცემაც.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ექ. თაყაიშვილი.

ინდოეთის გზები

«ბევრს დღევანდელ ამბავს კარგად გავიგებთ, თუ გავეცნობით ინგლისის სტრატეგიას ახლობელ აღმოსავლეთში», ასე იწყებს თავის საინტერესო წერილს ცნობილი ჟურნალისტი რენე ლაბრიუერი **). მე-17 საუკ. დაწყებული დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა მიმართული იყო იმისკენ, რომ უზრუნველ ეყო ინდოეთის გზა, ე. ი. ურთიერთობა ინგლისისა მის კალონიებთან. ამ ნიადაგზე საფრანგეთსა და ინგლის შორის პირველად რამდენსამე ინცინდენტს ჰქონდა ადგილი, მაგრამ მერე მათი მორიგება მოხდა—ინგლისმა თავისუფლება მიიღო ეგვიპტეში, მეწამულ (წითელ) ზღვაზე, არაბეთსა, პალესტინასა და ტრანსიორდანიაში, ხოლო საფრანგეთმა—მაროკო და ინგლისის თანამშრომლობა დიდ ომში.

ვიდრე სუეცის არხი იქნებოდა გაჭრილი, ინდოეთის გზას აფრიკის ირგვლივ უნდა შემოევლო და გემებისთვის საჭირო არ იყო სადმე ნავთსადგურებში შესვლა. მაგრამ საფრანგეთის ადმირალის სუფრენის მოქმედებამ 1781 წ. დაარწმუნა ინგლისი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ინდოეთის გზისთვის აუცილებელი იყო დასაყრდნობი პუნქტები. ამიტომ 1795 წ. წაართვა ჰოლანდიელებს სამხრეთ აფრიკაში კაპი და იქ გამართა რამდენიმე ნავთსადგური. ამავე მიზნით მერმე შეიძინა წმ. ელენეს კუნძული ატლანტიკის ოკეანეში, სამხრეთ აფრიკის დასავლეთით, და მავრიკის კუნძული ინდოეთის ოკეანეში, მადაგასკარის აღმოსავლეთით. არც თუ ხმელთაშუა ზღვა დაუტოვებია უყურადღებოდ: მე-18 საუკ. დასაწყისიდან ხელში ჩაიგდო გიბრალტარი, რომელიც საუცხოოდ გაამაგრა და დღეს ისე აქვს მოწყობილი, რომ თითქმის სრულიად დაცულია საჰაეო თავდასხმისაგანაც. მის ხელთაა აგრეთვე მალტის და კვიპროსის კუნძულები, თუმცაღა პირველი არაა მთლად უზრუნველყოფილი შემოტევისაგან სიცილიის მხრით. ყველაფერს ამას არ დასჯერდა და 1839 წ. იამანთან (არაბეთი) დადებულ ხელშეკრულობით შეიძინა ადენი, სადაც საუკეთესოდ მოწყობილი სიმაგრენი ააგო.

ინდოეთის გზას აფრიკის ირგვლივ, კაპთან გავლით, დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინგლისისათვის, თუ ვინიცობაა რაიმე გართულება მოხდა ხმელთაშუა ზღვაზე.

---

*) იმავე ი. მეგრელიძის სტატიიდან, რომელიც ზემოთ უჩვენეთ, ვტყობილობთ, რომ ტექსტი «სინაის კრებულისა» უკვე დაბეჭდილი ყოფილა, მაგრამ გამოვიდა თუ არა, არ ვიცით.

**) Revue de deux mondes. 1935 წ. 1 დეკემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუეცის არხის გაჭრის შემდეგ ინგლისის მთელი ყურადღება ეგვიპტეზე იქნა მიქცეული. თუმცალა არ დაიპყრო, მაგრამ ეგვიპტეს მთავარი ძარღვები მის ხელთაა და იქ ბატონობს მილიტარულად. ამასთანავე ინგლისი სრული ბატონ-პატრონია სუდანის და ნილოსის სათავეების, რის გამო ეგვიპტეს მთელი კეთილდღეობა დამოკიდებულია მისგან. ამ ბატონობის განსამტკიცებლად ინგლისს ეთიოპიასთანაც აქვს შეთანხმება ნილოსის სათავეების შესახებ.

ასეთია ინდოეთის გზების ბაზები. ხოლო ბაზებს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენად არსებობს ფლოტი. ინგლისის ფლოტი კი ყველასაზე უძლიერესია მთელ დედამიწაზე. დიდ ომამდე მისი სიძლიერე ასე გამოიხატებოდა: ინგლისის ფლოტი შეიცავდა 2.175.000 ტონს წინააამდეგ შეერთებულ შტატების 866 ათასის, საფრანგეთის 755 ათასის, იაპონიის 550 ათასის და იტალიის 423 ათასისა. ინგლისის ფლოტი აღემატებოდა საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის შეერთებულს ფლოტს. მაგრამ გერმანიის ფლოტი დიდის სისწრაფით იზრდებოდა და ეს იყო ერთი მთავარ მიზეზთაგანი, რომ ინგლისი წასულ ომში ჩაერია.

1930 წ. ლონდონის კონფერენციამ ეს მდგომარეობა ასე შესცვალა: ინგლისს მიენიჭა 30,5 პროც. (ნაცვლად 1914 წ. 45,5), შეერთებულ შტატებს 30,6 (ნაცვლად 18,4), იაპონიას 18,4 (ნაცვლად 11,5), საფრანგეთს 10,20 (ნაცვლად 15,8), იტალიას 10,20 (ნაცვლად 8,8). ეს პროპორცია შემდეგ არ შეცვლილა თვალსაჩინოდ. უნდა დავასკვნათ, რომ ინგლისმა დაჰკარგა კანტროლი დასავლეთ ატლანტიკაში, შორეულ აღმოსავლეთში და პაციფიკეზე. სამაგიეროდ ინგლისს მიემატა სიძლიერე ჩრდილო ზღვაში, რადგან გერმანიის ფლოტის ტონაჟი შემცირდა 105.000 ტონამდე. ხოლო საფრანგეთ-იტალიის ფლოტთან შედარებით ინგლისის ფლოტის ძალა 1914 წ. გამოიხატებოდა 45 წინაამდეგ 19, დღეს იგია 30,6 წინაამდეგ 20,4. ერთი სიტყვით, ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებამდე ინგლისის ფლოტის დანაკლისი უდრიდა 15 პროც.

ინგლისს ყოველთვის ამინებდა საფრანგეთ იტალიის შეთანხმება, თავის პოლიტიკას მათ ქიშპობაზე ამყარებდა და ხელს უწყობდა იტალიის ფლოტის აღორძინებას. როცა იტალია და საფრანგეთი მორიგდენ და მათი ძალები გაერთიანდენ ხმელთაშუა ზღვაზე, ინგლისი გერმანიას შეუთანხმდა, საზღვაო ხელშეკრულობის დადებით, რომ ამით ნაწილი საფრანგეთის ფლოტისა ჩრდილოეთით ყოფილიყო დაბანდებული გერმანიის საფრთხის გამო.

თუმცა დღეს დღეობით ინგლისის ფლოტი ტონაჟით აღემატება საფრანგეთის, იტალიის და გერმანიისას (ეს არ გაგრძელდება დიდ ხანს, თუ მხედველობაში მივიღებთ გერმანიის ფლოტის ზრდას), ხოლო თუ ავიღებთ გემების კათეგორიებს, პროპორცია იგივე არ იქნება. ინგლისის მსხვილი ფლოტი შესდგება 15 ხაზის დიდი გემისაგან, რომელთაგან სამი აშენებულია 1927 წ. ამ ჯავშნოსნების დასაპირისპირებლად ევროპის სხვა ფლოტებს არა მოეპოვებათ რა. საფრანგეთს სამი მოდერნული გემი აქვს, 22 ათას ტონიანი, რომლებიც ინგლისის უმცირეს ჯავშნოსნებზე (31 ათას ტონ.) დაბლა დგანან. იტალიას 4 ძველი ჯავშნოსანი მოეპოვება. გერმანიის «დოიჩლანდებს» (ახალი ტიპის კრეისერებია) არ შეუძლიათ გაუმაგრდენ ინგლისის ჯავშნოსნებს. მაგრამ რაც შეეხება კრეისერებს, «ა» კლასის ინგლისს აქვს 13 წინაამდეგ საფრანგეთის და იტალიის 14, «ბ» კლასის ინგლისს აქვს 17, საფრანგეთს—იტალიას—გერმანიას 6+7+6=19. დაბალი ადგილი უკავია ინგლისს თავის კონტრ-ნაღმოსნებით და განსაკუთრებით წყალქვეშა ნავებით: ინგლისის წყალქვეშა ნავების რიცხვია 43, საფრანგეთის 72, იტალიის 43.

ამგვარად ირკვევა, რომ თუ ინგლისს უპირატესობა ეკუთვნის მსხვილი გემებით, დანარჩენებით ჩამოქვეითებულია. მისი უპირატესობა კიდევ უფშეთხელდება, როცა საფრანგეთი, იტალია და გერმანია დაასრულებენ თავის მსხვილი ერთეულების შენებას, რომელიც დაწყებული აქვთ. ეს გარემოება აიძულებს ინგლისს ინდოეთის გზების დასაცავად, განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვაზე, ვინმე მოკავშირე იშოვნოს. როცა ბალდუინმა განაცხადა, ჩვენი საზღვარი რეინზე არისო, ის მაშინ ჰგულისხმობდა ალბად საფრანგეთის ფლოტის დახმარებას ხმელთაშუა ზღვაზე.

თუ ინგლისის ფლოტს კერძოდ იტალიისას შევადარებთ, ყოვლად აშკარაა პირველის სრული უპირატესობა. ინგლისის ჯავშნოსნებს შეუძლიათ კანონი დაადგინონ მხელთაშუა ზღვაზე. ხოლო მათ ერთი დიდი მტერი ყავთ. ხმელთაშუა ზღვის რომელიმე სახელმწიფოს მრავალრიცხოვან წყალქვეშა ნავები დიდს ზიანს მიაყენებენ როგორც ინგლისის ვაჭრობას, ისე მის ჯავშნოსნებს. ამიტომაა, რომ ინგლისი ყოველთვის მოითხოვდა და დღესაც მოითხოვს წყალქვეშა ნავების სრულს აღკვეთას.

უეჭველია, წყალქვეშა ნავები უდიდეს საფრთხეს ჰქმნიან ინდოეთის გზებისთვის. ხოლო ინგლისს ახლა კიდევ უფრო მეტად აღონებს ავიაციის გაჩენა, რომელმაც ერთიან შეატრიალა ინდოეთის გზების საკითხი. საკომერციო საჰაერო მიმოსვლა ინგლის-ინდოეთს შორის საკმაოდ კარგადაა მოწყობილი, მრავალი მანქანა მუშაობს რეგულიარულად და მალე თვითეულ ავიონს ასამდე მგზავრის გადაყვანა შეეძლება (ეს რიცხვი უდრის გემის პირველი კლასის მგზავრთა რიცხვს). განზრახულია ჰიდრავიონების გამოყენება ინდოეთის გზისთვის და დიდ ბრიტანეთის მთავრობას უნდა ამ საქმისთვის ისარგებლოს საფრანგეთის მდინარეები. მაგრამ მთავარ ყურადღებას აქცევს წმინდა ინგლისურ ხაზს—გიბრალტარით და ხმელთაშუა ზღვით.

საჰაერო გზა აღმოსავლეთში ორ ტოტად არის გაყოფილი: ერთია ჰაიფაზე, ტრან იორდანიაში, მეორე ქაირო—კაპზე, რომელიც სარგებლობს ნილოსს და აფრიკის დიდ ტბებს. ამიტომ იყო, რომ ინგლისმა დაიკავა გერმანელთა კალონია აღმოსავლეთ აფრიკაში, რომელიც მას გზას უჭრიდა ნიასსას ტბაზე. ამ ორს საკომერციო საჰაერო გზას დღითი დღე უფრო და უფრო მეტი მნიშვველობა ეძლევა.

ავიონების გაჩენამ უდიდესი რევოლუცია მოახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინა და ინგლისის პოლიტიკის ღერძი ხმელთაშუა ზღვიდან აღმოსავლეთისკენ გადაიტანა. მალტს, რომელიც იტალიის საჰაერო ბაზების მახლობლად მდებარეობს, დაეკარგა უმეტესი წილი თავის ცენტრალურ პოზიციის ღირებულებისა. ინგლისმა სამაგიერო ახლობელ აღმოსავლეთში მოიპოვა. ახლა ინდოეთთან კავშირის მთავარი პუნქტებია ჰაიფა სუეცი, ალექსანდრია-ქაირო. თუ გემები ვეღარ ისარგებლებენ ხმელთაშუა ზღვას და იძულებულნი გახდებიან აფრიკას შემოუარონ, ინგლისს უნდა, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეს, თავისუფალი საჰაერო მიმოსვლა ჰქონდეს. ამ მიზნით მოჰფინა ეგვიპტე და სუდანი ჰაეროდრომებით, მოაწყო პალესტინა, ტრანსიორდანია და სინაი. სინაის ნახევარკუნძული და ტრანს იორდანია-მეწამულის ზღვის სამხედრო სისტემა წარმოადგენს ეგვიპტის სისტემის დასრულებას. პალესტინაში, აგრეთვე ერაყში ინგლისმა შექმნა ბევრი ჰაეროდრომი და საჰაერო ორგანიზაცია. რაც შეეხება ჰაიფას და აკაბას სანავსნო ბაზებს, განზრახულია აგება იქ მიუდგომ და აუღებელ სიმაგრეებისა. საჭიროების დროს ჰაიფა-აკაბას ხაზმა უნდა გასწიოს პორტსაიდ-სუეცის ხაზის მაგიერობა როგორც სამხედრო მიზნებისთვის, ისე საკომერციო მოთხოვნილებისთვის.

თითქოს ამ საჰაერო გზების ექსპლოატაციისთვის ინგლისმა ჰპოვა ნავთის მდიდარი საბადოები ერაყში და მოსულში. ნავთსადენი გამოყვანილია ჰაიფამდე და სათანადო დაწესებულებანია შექმნილი ბასორაში. ეს ბაზა, აკაბა და სუეცი წარმოადგენენ იმ სამ თათს, რომლებით ინგლისი ჩაეჭიდა ახლობელ აღმოსავლეთს და რომელთა საშუალებით ინდოეთს უკავშირებს დასავლეთის ქვეყნებს.

უნდა ითქვას აქვე, რომ თუ ინგლისის ფლოტი კვლავ ძლიერია, ეს არ შეიძლება ითქვას მის ავიაციაზე. 1935 წ. სტატისტიკით ინგლისის ავიონების რაოდენობა 1.050 იყო წინაამდეგ იტალიის 1.200. ხოლო ინგლისი მოსწრაფებით ცდილობს ეს ნაკლი გამოასწოროს.

დავუკავშიროთ ახლა ყველაფერი ზემოდ ნათქვამი იმ ამბებს, რაც ეთიოპიაში ხდება. ავიღოთ ხელში გეოგრაფიული ქარტა და გადავავლოთ თვალი ალექსანდრიის სამხრეთით მდებარე ადგილებს: ხმელთაშუა ზღვის ცენტრალური გზა განიყოფება სამ შტოდ 1) საზღვაო გზა სუეცი, მეწამული ზღვა და ადენის ყურე, 2) საჰაერო გზა და აგრეთვე სამდინარეო —ალექსანდრია და კაპი, და 3) საჰაერო გზა ჰაიფა და სპარსეთის ყურე ან საზღვაო ჰაიფა, აკაბა და მეწამული ზღვა. ეთიოპია წარმოადგენს ერთს დიდს ციხესიმაგრეს ინგლისის იმპერიის სასიცოცხლო არტერიების წინაამდეგ, ციხეს, რომელიც ბატონობს ერთის მხრით მეწამულ ზღვას და მეორე მხრით ზემო ნილოსის ველებს. თუ წარმოვიდგენთ ავიაციის სწრაფ განვითარებას, რომ მფრინავები მალე შესძლებენ საათში 600 კილომეტრის გავლას, მაშინ ადვილად მივხვდებით, თუ რა უაღრესი სტრატეგიული მნიშვნელობა ეძლევა იმ ორ ათასი კილომეტრის ჰაეროდრომს, როგორიც შეიძლება გახდეს ეთიოპია. სახელმწიფო, რომელიც ეთიოპიას დაეპატრონება, ადვილად მოახერხებს ყოველი მიმოსვლა შეაჩეროს მეწამულ ზღვიდან, ნილოსიდან, უგანდაზე (ინგლისის სუდანი), და მის თავდასხმებს ვერავინ წინააღუდგება. ინგლისს განსაკუთრებით აშინებს, რომ ასეთ სახლმწიფოდ არ გახდეს იტალია, რომელსაც ხელში უკავია სიცილიის სრუტე, რომელიც ჰფლობს როდოსის კუნძულს პირისპირ კვიპროსისა და დამკვიდრებულია ლიბიასა და კირენაიკაში. იმ სიმაგრეებმა, რომელიც ააგო იტალიამ მასსაუაში (ერიტრეა) და მეწამული ზღვის გასწვრივ, უკვე საკმაოდ შეასუსტეს ადენის მნიშვნელობა. ამგვარად იტალია სამ ალაგას უახლოვდება ინდოეთის გზებს —მალტს, სუეცს და ბაბ ელ მანდების სრუტეს (ეს სრუტე აერთებს მეწამულ ზღვას და ინდოეთის ოკეანეს). იტალიელები ზომიერი მოთხოვნილების და ნაყოფიერი ხალხია და შეუძლიათ მალე მრავალრიცხოვანი კალონია შექმნან ეთიოპიაში. ეს კალონია ადგილობრივ მკვიდრთა დახმარებით თვალსაჩინო ძალა გახდება და გავლენას იქონიებს გარშემო მდებარე ადგილებზე, რომელთაც ავიონების საშუალებით 2-3 საათში მიწვდება. საქმეს ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ცისფერ ნილოსის და ზოგ მის შემდინარეს სათავეები ეთიოპიაშია (ცისფერი ნილოსი ტცანის ტბიდან მოდის) და ვინც ეთიოპიაში იბატონებს, დიდი უბედურება შეუძლია დაატეხოს თავს ინგლისის სუდანს და ეგვიპტეს. სუდანს ნილოსი რწყავს, ეგვიპტეს ნილოსით უდგია სული და ნილოსის წყალთა რაოდენობის შემცირება პირდაპირ კატასტროფიული იქნებოდა.

უცხოეთის მიმოხილვა

7 მარტი.

7 მარტი, ცოტა დააკლდა, რაღმე საბედისწერო, დასავლეთის გამანადგურებელ თარიღად არ იქცა. ჰიტლერის გერმანიის ჯარების რეინის განიარაღებულ ზონაში შესვლა ნამდვილი სიგნალი იყო, რომ მას მოყოლოდა საფრანგეთის ჯარების მობილიზაცია და აქედან, ვიცით, რა იქნებოდა შედეგი. როცა დაობენ პიროვნების როლზე ისტორიაში, მზგავსი შემთხვევა გადამჭრელია, როგორც მაგალითი. პრემიერი სარო რომ აყოლოდა კანცლერ ჰიტლერის ჟესტს, ცხადია, კატასტროფა გარდაუვალი გახდებოდა. სარო არ აყვა და ეს კიდევ უფრო ამაღლებს მის როლს, რადგან მან ალღო აუღო თავის ერის, ისე როგორც ლოკარნოს მონაწილეთა სამშვიდობო სულისკვეთებას. იტალია-ეთიოპიის ომმაც ითამაშა ერთგვარი დადებითი როლი, რადგან იტალიას, ლოკარნოს ერთ-ერთ მონაწილეს, არ ეცალა ევროპისთვის.

იურიდული კამათი იმაზე, არღვევს თუ არა რუს-ფრანგთა პაქტი ლოკარნოს, კარგავს თავის ადრინდელ მნიშვნელობას შედარებით იმასთან, რომ ჰიტლერმა სწორეთ ამ პაქტის რატიფიკაცია გამოიყენა, როგორც მთავარი საბუთი თავის ჟესტისა რეინში. როცა ის აცხადებს, რომ რუს-ფრანგთა პაქტი მიმართულია გერმანიის წინაამდეგო, თქვენ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიძლიათ იურიდული თვალსაზრისით შეეცილოთ ამ განცხადებას, მაგრამ ვერას გზით ვერ უარყოფთ, რომ იგი არის უაღრეს პოლიტიკურ მნიშვნელობისა. მართლაც, გერმანიის უარყოფით პოზიციას მოსკოვის მიმართ სათანადო ანგარიში არ გაუწიეს საფრანგეთში, მიუხედავათ იმისა, რომ ორივენი დაზღვეული იყვენ ლოკარნოთი, მაშასადამე, არ ეჭივრებოდათ მოსკოვი რეინის საზღვრების დასაცავათ. საფრანგეთმა, საუბედუროდ, მოკავშირე პოლონეთსაც არ გაუწია ანგარიში, რომლისათვის აღმოსავლეთის პაქტში თავის შეყოფა, უგერმანიოთ, საბედისწერო იქნებოდა. ძველი რუსოფილების ბარტუ-დუმერგის მიდრეკილება ეხლაც ძალაში დარჩა, იღბალი კიდევ, რომ ეს პირნი ან მათი მიმდევარნი არ მეთაურობენ ამჟამად საფრანგეთის პოლიტიკას, თორემ... კატასტროფა ფაქტად იქცეოდა.

ვისთვის იყო ხელსაყრელი ეს კატასტროფა? რასაკვირველია, მარტო მოსკოვისთვის. ერთის დაკვრით ის ორ კუდღელს იჭერდა: ომი მას თავიდან აშორებდა ხიფათს გერმანიის მხრით, იმავე ომს შედეგად მოყვებოდა რევოლუცია დამარცხებულ ქვეყანაში. როგორც ხედავთ, პირველ შემთხვევაში იგებდა სოვნარკომი, ხოლო მეორეში—კომინტერნი! ორივენი კი ემსახურებიან ერთ მიზანს—რუსეთის იმპერიალიზმის განმტკიცებას მსოფლიო ფარგალში.

გახსოვთ, ლოკარნოს მონაწილეთა თათბირი პარიზში დაიწყო, მაგრამ პირველი სხდომის შემდეგ იდენმა მოითხოვა მისი ლონდონში გადატანა. საინტერესო იყო მისი მომიზეზება—ჩემს მთავრობასთან მუდმივ კონტაქტში უნდა ვიყოვო, თითქო ფლანდენს არ ეჭივრებოდა ასეთივე კონტაქტი თავის მთავრობასთან! არა, მიზეზი იყო პარიზის ატმოსფერა; თვით ყენევის ატმოსფერაც შეუფერებელი გამოდგა! რატომ? იმიტომ, რომ მოსკოვის დელეგატი ლიტვინოვი პარიზში, ისე როგორც ყენევაში, persona grata-დ გრძნობს თავს; და ეს მით უფრო, რომ სწორეთ რუს-ფრანგთა პაქტმა ატეხა მთელი ეს ალიაქოთი.

თემზის პირად, ამრიგად, უფრო ხელსაყრელი გამოდგა როგორც ლოკარნისტების, ისე ერთა ლიგის საბჭოს ნორმალური მუშაობა. იქაც ეწეოდა, რა თქმა უნდა, haute politique-ს ლიტვინოვი თავის ვასალების, ტიტულესკოს და რუშდი არასის დახმარებით, ერთი მქუხარა სიტყვაც კი წარმოსთქვა ლიგის საბჭოში—ჰკა ლოკარნოს დამრღვევსო—, მაგრამ დიდ სახელმწიფოთა ინგლის-საფრანგეთ-იტალიის სათათბირო კარები დახშული იყო მისთვის.

სწორეთ ამ სამმა სახელმწიფომ, ბელგიასთან ერთათ, გამოიმუშავეს ის პირობები, რომელიც გერმანიას გადაეცა, წინადადების და არა ულტიმატუმის სახით, როგორც იდენმა განაცხადა თემთა პალატაში. ჩვენ არ ვეხებით ამ წინადადებათ, კიდევ მოგვიხდება მათზე წერა, ვიცით მხოლოდ, რომ ჰიტლერმა უარყო ისინი და დაპირდა ლოკარნისტებს თავის კონტრ-წინადადებას 31 ამ თვისთვის. ლიგის საბჭომაც გადადო თავის სხდომები, მან მოასწრო მხოლოდ გერმანიის «ერთხმად» გაკიცხვა პაქტების დარღვევისთვის, ე. ი. განმეორდა ის, რაზედაც ბევრჯერ გვიწერია: «მცირენი» ასრულებენ «დიდების» კარნახს, ლიგის პრინციპი აქ არაფერ შუაშია, ძალთა განწყობილება და არა პარაგრაფები სწყვეტს საკითხს.

მდგომარეობა სერიოზული რჩება, რა თქმა უნდა, საყოველთაო ხანძარი არ არის მთლათ გამორიცხული, მაგრამ, თუ დააკვირდით პრესას ლონდონში, თვით პარიზშიც, ხალხს არ სურს ომი. საფრანგეთში უკვე დაწყებულია საარჩევნო კამპანია და არავის ებადება იჭვი, რომ ფრანგთა ერი სამშვიდობო პოლიტიკის უმრავლესობას გაიყვანს. ცხადია, მოსკოვი პირში ჩალა გამოვლებული დარჩება, ვერც ერთ კურდღელს ვერ დაიჭერს და ორივე მხრიდან, სამაგიეროთ, იგივე სიკვდილის აჩრდილი აეტუზება.

რედაქცია ამით აუწყებს ყველას,

რომ მომავალ მაისის თვიდან

„დამოუკიდებელი საქართველო"

უფასოდ არავის გაეგზავნება.

ერთა ლიგის ირგვლივ

ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების ინტერნაციონალურ უნიონს ჩვეულება აქვს ზამთრის დამლევის სესიად შეკრიბოს ყველა თავისი მუდმივი კომისიები, რომელნიც სწავლობენ მიმდინარე საერთაშორისო საკითხებს და იმუშავებენ მომავალ ყოველწლიურ კონგრესისათვის რეზოლიუციებს. ასეთი კომისია ოთხია: აღზრდის, ეროვნულ უმცირესობის, ეკონომიურ და სოციალურის, იურიდიულ და პოლიტიკურ საკითხების. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ ყველა აქტუალურ დიდ პრობლემებს არჩევს, არამედ იმიტომაც, რომ ზოგი სხვა კომისიების გარჩეული საკითხები ხშირად მასთან გადადის კვლავ გასარჩევად და შესაფასებლად. ამით აიხსნება, რომ მისი სხდომა ხდება ყველა სხვა კომისიების სხდომების გათავების შემდეგ, სწორედ სესიის დასრულების წინ და მასში შედიან ყველა ასოციაციების უდიდესი წარმომადგენლები. მაგრამ მის სხდომას ჩვეულებრივად მრავალრიცხოვან დელეგაციების მხოლოდ ნაწილი ესწრება, უმთავრესად დახელოვნებულნი, კომპეტენტური პირნი. 23 თებერვალს, ამ ჩვეულების წინაამდეგ, საფრანგეთის დელეგაცია სრულად, შვიდივე წარმომადგენლებით დაესწრო. იქნებ ეს იმით აიხსნება, რომ დელეგაციამ კომისიაში საჩქარო წესით წამოაყენა რეზოლიუციის პროექტი შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობაზე. ამას

ისიც უნდა მიემატოს, რომ ხსენებულ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საფრანგეთის ასოციაციის თავმჯდომარე ყოფილი მინისტრი ბ. ემილ ბორელი.

როცა სხვა საკითხების გარჩევის შემდეგ ჯერი ზემოხსენებულ პროექტზე მიდგა, ფრანგ დელეგატების სახელით ვრცელი მოხსენება გააკეთა პროფ. პრუდომმა მათი წინადადების დასასაბუთებლად. მან ისე, როგორც თვით რეზოლიუციის პროექტში ნათქვამი იყო, განაცხადა: «იაპონიამ დაარღვია ჩინეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიალური მთლიანობა; ახლა ის იარაღით ხელში ემუქრება მონგოლიას და საბჭოთა კავშირსო». თანახმად რეზოლიუციის პროექტისა ის მოითხოვდა ერთა ლიგისაგან იაპონიის წინააამდეგ საჩქარო ზომების მიღებას. გარდა ამისა ხსენებულ პროექტის დასამტკიცებლად წარმოდგენილი იყო ვრცელი მემორანდუმი. ბ. პრუდომის მოხსენების გათავების თანავე ქართველმა წარმომადგენელმა შავიშვილმა სიტყვა მოითხოვა, მაგრამ თარგმანის გათავებისას როცა თავმჯდომარემ «ინებეთო» უთხრა; მან ხელით მიუთითა ჩინელ და იაპონელ დელეგატებზე. პირველებმა ძალიან გაცხარებით დიდხანს ილაპარაკეს ფრანგების პროექტის მხარის დასაჭერად და ითხოვდენ რეზოლიუციის საჩქაროთ მიღებას. იაპონელმა თავისი შეხედულობა დაიცვა, ხოლო არავის გაუგია, ისე ცუდად ილაპარაკა. ამათ შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა ინგლისელ დელეგატს მისცა, რომელიც თავიდანვე თანხმობას აცხადებდა რეზოლიუციის მიღებაზე. მაშინ წამოხტა შავიშვილი შემდეგი სიტყვებით: «ბატონო თავმჯდომარევ! წესი და სამართალი მოითხოვდა, ჩემზე წინ ელაპარაკათ პირდაპირ დაინტერესებულ დელეგაციებს. ამიტომაც მე დავუთმე ჩინელებს და იაპონელებს, ხოლო სიტყვაზე კი უარი არ მითქვამს»-ო. თავმჯდომარემ ინგლისელი ორატორი გააჩერა და ბოდიში მოიხადა შავიშვილის წინაშე, რომელმაც შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

«უეჭველია, ფრანგების განზრახვა კეთილშობილურია. მე ის მომწონს და ბუნებრივად მიმაჩნია იმ ადამიანების მხრით, რომელნიც არიან წარმომადგენელნი დიდი საფრანგეთის რევოლუციის მშვენიერი პრინციპებისა. თუ სიტყვა ავიღე, არა იმიტომ, რომ წინააღვუდგე მათ წინადადებას, პირიქით მინდა მხარი დავუჭირო. ფრანგების წინადადება ილაშქრებს იაპონიის ძალადობის წინააამდეგ, რომელიც ლახავს ჩინეთის ტერიტორიის მთლიანობას და დამოუკიდებლობას. სადავო არავისათვისაა, რომ ძალადობას მიმართავენ ჩინეთის ტერიტორიის მიმართ, რომ შეესივნენ მის მიწა-წყალს. ხოლო წარმოდგენილი წინადადება არაა სრული. საჭიროა შევსება. ჩინეთს მარტო ერთი არასასურველი მეზობელი კი არ ყავს, არამედ ორი—ორივე თავდამსხმელი. თუ ერთმა მეზობელმა შექმნა სახელმწიფო, მეორემაც ხომ შექმნა ასეთი. თუ მანჯუკუოს სახელმწიფო ინსტრუქციებს ტოკიოდან იღებს, გარეშე მონგოლია ინსტრუქციებს მოსკოვიდან იღებს. ამას გარდა ჩინეთში არსებობენ კომუნისტური ჯარები, რომლებიც ებრძვიან ეროვნულ ჯარებს, რომელთაც კვებავს მოსკოვი და ამხედრებს ნანკინის წინააამდეგ. ბოლო დროს თქვენ მრავალი დეპეშა წაიკითხეთ ჩინეთიდან მიღებული, რომლებიც ამბობენ, რომ კომუნისტებმა ბევრჯერ გაიმარჯვეს და ემუქრებიან ხანანს. ვიმეორებ, რომ სიამოვნებით ვუერთდები ფრანგთა ასოციაციის წინადადებას, მით უფრო, რომ ჩვენ ვიცით, თუ რა არის თავდასხმა და სამხედრო ოკუპაცია ქვეყნის, და არა თუ იმ პრინციპების მიხედვით, რომელნიც გვავალებენ დამონებულ ერების მხარის დაჭერას, არამედ იმიტომაც, რომ უცხო უღლის ქვეშ მყოფ ერთა შორის სოლიდარობა არსებობს. სწორედ ამ სოლიდარობის ძალით და თანაგრძნობისა, რომელსაც განვიცდი ჩინეთის მიმართ, მე მოვითხოვ ჩინეთის დამოუკიდებლობის სრულს დაცვას. მესმის, რომ ჩინელთა თვალსაზრისით დასაშვებია ტაქტიკა—ერთი მტერი მეორეს საწინააამდეგოდ გამოიყენო. ხოლო ეს არაა მისაღები ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების საერთაშორისო კავშირისთვის და მისი რეზოლუცია არ უნდა იყოს ცალმხრივი. თუ ეს იქნა მიმართული ჩინეთის დამოუკიდებლობის ერთი მტრის წინააამდეგ, უეჭველად მას ისარგებლებს მეორე მტერი. ამას გარდა, მარტო ჩინეთი არაა, რომ იჩაგრება უცხოელის თავდასხმისაგან. არსებობს ჩემი ქვეყანა, საქართველო, რომელსაც ახჩობს უცხო ძალადობა; არსებობენ კავკასიის სხვა ერებიც—აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩრდილოკავკასია, უკრაინა, თურქისტანი. მივესალმები საფრანგეთის ასოციაციას კეთილშობილურ წინადადებისათვის, ვიწონებ მას და გამოვსთქვამ რწმენას, რომ იგი შემოიტანს სხვა წინადადებებს, ასევე მოსაწონთ და კეთილშობილურთ. ბატონებო, ყველაფერი ეს იმიტომ მოგახსენეთ, რათა შეუბღალავი დარჩეს ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების კავშირის სინდისი.»

ამ სიტყვების შემდეგ ფრანგ დელეგატებმა ერთმანეთ შორის მოილაპარაკეს და მათი სახელით ქ ნ დელატერ სელის განაცხადებიეს, რომ ისინი რეზოლიუციას დროებით ხსნიან, მხოლოდ საკითხის შესწავლას მოითხოვენ გლაზგოვის კონგრესისათვის, რომელიც მიიღებს რეზოლუციას. ეს კონგრესი ივნისის დამდეგს შესდგება.

საქართველოს საკითხი

ამ ჟამად დიდ მოდაშია საბჭოთა ქება-დიდება. ამის ერთ მოხალისეთაგანად გამოვიდა A. Corswant თავის, რუსეთის მიმართ აღტაცებით აღსავსე, წერილში შვეიცარულ სოციალისტურ გაზეთ «სანტინელში», რომლის დამოუკიდებლობა და გამბედაობა ყველასთვის ცნობილია. მას იმავ ორგანოში პასუხი გასცა სოციალისტების ლიდერმა, შვეიცარიის ფედერ. პარლამენტის დეპუტატმა რობერმა, რომელიც, სხვათა შორის, სწერს: «თქვენ ამბობთ, წითელი არმია პაციფისტური არის და ეს მან დაამტკიცა იაპონიის მიმართო». მეორე რატომ არ დაამტკიცა ამ არმიამ თავისი მშვიდობიანობა საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართ, რომლის შესახებ თითქოს უფრო არ ჰქონდა სხვა განზრახვები, ვიდრე აქვს იაპონიის შესახებ? განა ამ პატარა რესპუბლიკას სრული მშვიდობიანობის დროს არ დაესხა თავს, წინაამდეგ დადებულ ხელშეკრულობისა? თუ ზარბაზნების და ყუმბარების ფაბრიკანტებს არ წაუქეზებიათ წითელი არმია, განა ცხადი არაა, რომ კავკასიის ნაფთის სიმდიდრემ მიიზიდა?»

შემდეგ ავტორი განსაკუთრებულ წერილს უძღვნის საქართველოს საკითხს, რომელსაც შემდეგ ნუმერში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

* * *

მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიუროს ორგანო «Le mouvement pacifiste» აცნობს მკითხველებს ლონდონში გამოსულ «Georgica»-ს და ასე დაასკვნის:

«საქართველოს საკითხი დღიურ წესრიგში დგას. ის გარემოება, რომ რუსეთი მიღებულია ერთა ლიგაში და იქ დღეს დიდს როლს თამაშობს, რომ მესამე ინტერნაციონალის აგენტები მხურვალე აქტივობას იჩენენ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში,— გვავალებს, რომ ამ საკითხს მხარი დავუჭიროთ. პაციფისტები უკანასკნელნი დავივიწყებთ მას. ჩვენ ვიხსენებთ იმასაც, რომ სათანადო დაპირება იყო მიცემული იმათგანაც კი, რომლებიც ემხრობოდენ რუსეთის მიღებას ერთა ლიგაში.

საქართველოს მამულიშვილები უმოქმედოდ არ რჩებიან. ეს გამოცემა (Georgica) თავის მშვენიერი გარეგნობით და შინაარსით ამტკიცებს მათ სიცხოველეს და რწმენას. იგი გამოდის ინგლისურად და არის ორგანო საქართველოს ისტორიულ საზოგადოების. მისი მიზანია გააცნოს საქართველოს მეგობრებს ამ საინტერესო ქვეყნის ისტორია, კულტურა, დაწესებულებანი, მოღვაწენი, რომელთაც გავლენა ჰქონდათ ევროპის ცივილიზაციის განვითარებაზე.

ვისურვებთ, რომ ახალ გამოცემას ბევრი მკითხველი მოეპოვოს და თანამგრძნობიც საქართველოს და კავკასიის სხვა ერების საკითხისთვის».

გერმანული პრესა საქართველოზე

ბერლინის კათოლიკურმა გაზეთმა «გერმანიამ» თავის 19 იანვრის ნომერში უძღვნა საქართველოს კითხვას მთელი განსაკუთრებული დამატება, სათაურით «საქართველოს წამების გზა». რედაქცია თავის შესავალ წერილში ეხება საერთოდ საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვას. შემდეგ კი ათავსებს მთელ რიგ წერილს საქართველოს ისტორიასა, ლიტერატურასა, შოთა რუსთაველსა, ქრისტიანობაზე და სხვ. ასეთი ყურადღება და თანაგრძნობა ჩვენი ტანჯული ერისადმი ცნობილი ბეჭდვითი ორგანოსგან უეჭველად უდიდესი მადლობის ღირსია. სამწუხაროა მხოლოდ, რომ რედაქცია უმთავრესად გაზ. «კლდის» და მის თანამშრომელთა წერილებს სარგებლობს, რომელნიც ამ არაჩვეულებრივ სასიამოვნო შემთხვევას თავიანთი ჯგუფის და ნამეტნავად თავისი შეფის შ. ქარუმიძის პირადი რეკლამისთვის იყენებენ. ეს განსაკუთრებით ითქმის ვ. სადათირაშვილის წერილებზე, რომელსაც თანამედროვე საქართველოს ერთად ერთ ეროვნულ ხელმძღვანელად—მთელი ამ უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე—შ. ქარუმიძე გამოყავს. არ შეიძლება მოწონებულ იქნეს ის გარემოებაც, რომ ბ. სადათიერაშვილს და გაზ. «კლდე»-ს გაზეთი «გერმანია» და ბევრი სხვა გერმანული გაზეთები შეცდომაში შეყავთ, თითქოს შოთა რუსთაველის 750 წლის თავი შარშან ყოფილიყოს გადახდილი საქართველოში და ამ ცრუ საბაბით ათავსებენ წერილებს რუსთაველზე და საქართველოზე, რომ ამასთან იგივე თვითრეკლამა აწარმოვონ.

დიდად სამწუხაროა, რომ ზოგი ჩვენი თანამემამულე საქართველოს სახელს არ უფრთხილდება და თავის თავსაც არა სახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. პატივცემული გერმანული ორგანო კი, იმედი გვაქვს, ადვილად გაეცნობა ჩვენი ეროვნული ბრძოლის დეტალებსა და მის ნამდვილ ხელმძღვანელობასაც.

* * *

საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობის 15 წლის თავზე გერმანიის ცენტრალურმა ანტიკომუნისტურმა ბიურომ, რომელსაც «ანტიკომინტერნი» ეწოდება, თავის საპრესო ბიულეტენის პირველი მარტის ნომერში გამოუშვა ვრცელი წერილი სათაურით: «ქართველი ერის ტრაღედია. 15 წელი იმპერიალიზმის ქვეშ». წერილში გაშუქებულია საქართველოს წარსული, ობიექტიურად აღნუსხულია თავისუფალი საქართველოს და მისი მთავრობის საქმიანობა, მიღწევანი და ბრძოლები და ვრცლად დასურათებულია მოსკოვის ფლიდი და სისხლიანი პოლიტიკა, როგორც დაპყრობის ხანებში ისე მის შემდეგ. დასასრულ ავტორი განსაკუთრებით ეხება განსვენებულ ნოე რამიშვილის პიროვნებას და მის ტრაღიკულ ბედს. ეს წერილი მოთავსდა მრავალ პროვინციალურ გაზეთში.

ცნობილ ინდუსტრიალურ ქალაქ ესსენის მეტად გავრცელებულმა ნაციონალ-სოციალისტურმა გაზეთმა «ნაციონალ-ცაიტუნგ» მა, რომელიც მინისტრ გერინგის ორგანოთ ითვლება, დაბეჭდა 25 თებერვალს აგრეთვე ვრცელი და შინაარსიანი წერილი «საქართველო წითელი იმპერიალიზმის უღლის ქვეშ». წერილში აგრეთვე დალაგებით არის აღწერილი ქართველი ერის წამების გზა და მისი მძიმე ბრძოლა და სამარცხვინო ბოძზეა გაკრული მისი ჯალათები. წერილს თან დართული აქვს საქართველოს და მთელი კავკასიის რუკაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხსენება შოთა რუსთაველზე

პრაღა. უკრაინელ პროფესორმა გრ. ომელჩენკომ (ყუბანიდგან) გააკეთა 12 მარტს უკრაინელ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოებაში მოხსენება შოთა რუსთაველზე. ავტორი მთელი რიგი მონოგრაფიულ ნაწერის უკრაინულ და ჩეხურ ენაზე, პროფეს. ომელჩენკო წანუმძღვარებს რუსთაველის პოემის ვრცელ გარჩევას საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვას, ზოგიერთი პირადი დაკვირვებებით და მოგონებებით ქართული ცხოვრებიდან და ქართველებთან შეხვედრიდან, რათა დაასკვნას: ჩვენ უკრაინელები ვერ ვიჩენთ შესაფერ ინიციატივას გავეცნოთ და შევისწავლოთ ჩვენი უახლოესი, უერთგულესი და უკულტურესი მეგობარის, ქართველი ერის მრავალფეროვანი, ძველი სახელოვანი კულტურა მისი უდიდესი განძით—ლიტერატურითო.

«ვეფხის ტყაოსანის» გარჩევა სწორეთ რომ განსაცვიფრებელი იყო. მომხსენებელმა ზოგიერთი ადგილები თარგმნა გალექსილი უკრაინულად, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის თანამემამულეებზე. ავტორი სარგებლობდა ბალმონტის თარგმანს და საზოგადოთ რუსულ წყაროებს და უნდა ითქვას, რომ მან სრულიად დამოუკიდებლად ხაზი გაუსვა იმ დებულებებს უკვდავი პოეტის ნაწარმოებში, რასაც ვხვდებით ქართულ გარჩევებშიც, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს უცხოეთში რომ დაიწერა (ნ. ყორდანია, პროფ. ავალიშვილი და სხ.). მეგობრობა, მისთვის თავის დადება, ხსნა სხვისი, რომ იხსნა შენი თავი—აი რას ქადაგებს მე-12 საუკუნის ქართველი გენიოსიო, წინაამდეგ დღევანდელი ათასნაირი პაქტომანიის და ამდენივე ღალატის და ვერაგობისა—აცხადებს მომხსენებელი და ურჩევს დამსწრეთ შეისწავლონ შოთა რუსთაველი და მისი სამშობლო. მოხსენებაზე დამსწრე ქართველმა გააკეთა რა ზოგიერთი დამატება, მადლობა გამოუცხადა პატივცემულ პროფესორს და გამოსთქვა იმედი, რომ მას გამოუჩნდება მიმბაძველები ორივე ერისთვის ამ სასარგებლო საქმეში.

ლ.

სამაგალითო ადამიანი

რამდენიმე წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 24 თებერვალს ქალ. ლოზანაში გარდაიცვალა ღრმა მოხუცებული ჩვენი თანამემამულე ქ-ნი მარიამ თუმანიშვილისა. განსვენებული, მიუხედავად დავრდომილობისა—ხუთი წელიწადია ფეხზედ ვერ დადიოდა—, მოხუცებულობისა და თვალნაკლულევანებისა, ახალგაზდული ენტუზიაზმით ესწრაფებოდა საქართველოს ბედიღბლის გაგებას, უკანასკნელ სანტიმებს ხარჯავდა «დამ. საქართველოს», «პრომეთეს» და სხვა გამოცემების გამოსაწერად. თავის ტკივილებს ივიწყებდა და ქვეყნის ტანჯვაზე ფიქრით იტანჯებოდა. ნივთიერად ძალიან ვიწროდ იყო (საცხოვრებელ ფულს მას პეტრეს ქვრივი ქ-ნი ზუბალაშვილისა უგზავნიდა ამ 11 წ. განმავლობაში), მაგრამ მან იერუსალიმიდან მობრუნებისას 1925 წ. გაიგო თუ არა საქართველოს დამხმარე ინტერნაც. კომიტეტი არსებოსო, მაშინვე ითხოვა ასოციაციის წევრად მიღება, რათა საწევრო ფულის გადახდით მაინც თავისი წვლილი შეეტანა.

დაკრძალვა მოხდა 27 თებერვალს ქ. ფრობურგში, სადაც ლოზანიდან წინა დღით წაასვენეს. დაკრძალვას დაესწრო საქართველოს წარმომადგენელი ხ. შავიშვილი. საქართველოს დამხმარე ინტერნაც. კომიტეტმა გვირგვინით შეამკო განსვენებულის კუბო.

საქართველოს ამბები

(გაზეთებიდან)

გამოვიდა ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობით და შენიშვნებით «საანდაზო ლექსები» ილ. ჭავჭავაძის ამოკრეფილი «ვეფხის ტყაოსნიდან», «ქილილა და დამანიდან» და «გურამიანიდან», რომელიც თავის დროზე «ივერიაში» დაიბეჭდა.

— გამოვიდა კ. გამსახურდიას სამ ტომიანი ეპოპეა «მთვარის მოტაცება».

— კიევის უნივერსიტეტის ასი წლის იუბილეს გამო კიევში მოხსენება წაიკითხა შოთა რუსთაველზე პროფ. კ. კეკელიძემ, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

— მხატვართა კავშირის შენობაში მოხსენებები წაიკითხეს შ. ამირანაშვილმა «ვეფხის ტყაოსნის ახალი მხატვრული გაფორმების მთავარი პრინციპები ძველი ქართული ხელოვნების და ყოფა-ცხოვრების მასალების მიხედვით» და ა. ბარამიძემ «ვეფხის ტყაოსნის საკითხები».

— სახელგამს განზრახული აქვს გამოსცეს «ვისრამიანი», «სიბრძნე სიცრუის წიგნი», «კალმახობა», «დიდი მოურავიანი».

— საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალმა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო გამოკვლევისათვის შოთა რუსთაველის და მისი ეპოქის შესახებ. დანიშნულია სამი ჯილდო: 15, 10 და 5 ათასი მან.

— გრ. ხუროძემ აღმოაჩინა «ვეფხის ტყაოსნის» ახალი ხელნაწერი, რომელიც გადაწერილია 1833 წ. და შეიცავს ბევრს ისეთს ტაეპებს, რომელიც არაა სხვა ვარიანტებში.

— ვარძიაში გაიგზავნა საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შედგენა ხარჯთ აღრიცხვისა ვარძიის რესტავრაციისათვის.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.